ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

სამშაბათი, 29 მარტი, 2016 №74 (7000) ფასი: 50 თეთრი

29 მარტიდან
„ახალ თაობასთან" ერთად
პაულო კოელიო
ადიულტერი
ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი
მოიკითხეთ პრესის გავრცელების სტელაჟებზე




# რესპუბლიკელები „ქართულ ოცნებას" ტოვებენ?



გვ.2 პარტია გადაწყვეტილებას რამდენიმე დღეში მიიღებს







გვ.3

## „ბიძინა ივანიშვილმა მთავრობა იყიდა"



## რამაზ საყვარელიძე: „უკეთესია, კოალიცია დაიშალოს"



გვ.2



გვ.5

## „დაკითხეთ მეჭიაური და ლორთქიფანიძე!"

თამაზ მეჭიაური: „გირჩები, ციყვები, ნაციონალები და არასამთავრობოები შანტაჟს ახორციელებენ"



გვ.3

## „გიორგი პაპუაშვილს მემნევანილის ცოლი ემუქრებოდა" — რისი „გადაფარვა სურდა" საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს

## ლალი აფციაური: „ფარულმა ჩანაწერებმა მთელი საქართველო მოიარა, სანამ პროკურატურაში მოხვდებოდა"



გვ.4



ამ ხელისუფლების დანაშაული ის არის, რომ ამ კრიმინალურ ბანდას მისცა გაქცევის და მიმალვის საშუალება



გვ.5

## ზვიად კვაჭანტირაძე: „მე არ ვარ ლელა კაკულია და ვერ ვიმკითხავებ"

ISSN 1987-9385

სერგო რატიანი: „ქართული ოცნება" შეიძლება თავად ამ პარტიის წევრებმაც დატოვონ"



გვ.4

# რესპუბლიკელები „ქართულ ოცნებას“ ტოვებენ?

## პარტია გადაწყვეტილებას რამდენიმე დღეში მიიღებს

შორენა მარსაგიშვილი



კოალიცია „ქართული ოცნება“ შესაძლოა დაიშალოს. ხმები ამის შესახებ კარგა ხანია ვრცელდება. აქამდე მეოცნებეები ამ ხმებს მოარულ ჭორებს და ნაბოდვარს უწოდებდნენ, ახლა კი ამ ინფორმაციას თითქმის ადასტურებენ.

26-27 მარტს რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის სხდომა გაიმართა, სადაც პარტიის წევრებმა საპარლამენტო არჩევნებზე იმსჯელეს. ამ შეხვედრის დასრულების შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ რესპუბლიკელები კოალიციას ტოვებენ. სახელისუფლებო კულუარებში ამბობენ, რომ ამის შესახებ ოფიციალური განცხადება ახლო მომავალში გაკეთდება.

თავად რესპუბლიკელები ბუნდოვან კომენტარებს აკეთებენ. ამბობენ, რომ კოალიციას არ დატოვებენ, მაგრამ მათ ხმაში ძველებური რიხი აღარ იგრძნობა.

რესპუბლიკელები პრემიერთან გამართული შეხვედრის შემდეგ „მოტყდნენ“. რა უთხრა მათ მთავრობის მეთაურმა, არავინ იცის, მაგრამ ფაქტია, რომ მრეწველებთანაც კი შეწყვიტეს ომი.

მთავარი რესპუბლიკელი ხათუნა სამნიძე ჟურნალისტებთან საუბარში ადასტურებს, რომ პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტიის მონაწილეობის ფორმაზე იმსჯელა.

ამასთან, სამნიძე კატეგორიულად უარყოფს, რომ კომიტეტის სხდომაზე კოალიციიდან გასვლაზე იყო საუბარი.

– 26-27 მარტს ეროვნულმა კომიტეტმა იმსჯელა პარტიის მონაწილეობის ფორმატზე მოსალოდნელ არჩევნებში. მიღებული გადაწყვეტილების შინაარსს დღეს არ ვავრცელებთ. ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი. ეს ეხება მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობის ფორმატს, – აღნიშნა სამნიძემ.

ეროვნული კომიტეტის სხდომაზე მინისტრების გადადგომის საკითხიც იქნა განხილული. დღეის მდგომარეობით, მთავრობაში რესპუბლიკელებს 3 მინისტრი ჰყავთ. ესენი არიან: გიგლა აგულაშვილი, თინა ხიდაშელი და პაატა ზაქარეიშვილი.

ხათუნა სამნიძე არც ამ ინფორმაციას ადასტურებს. ამტკიცებს, რომ 26-27 მარტის თავყრილობაზე მინისტრების შესაძლო გადადგომაზეც კი არ ყოფილა საუბარი.

– არც ერთი მათგანის გადადგომაზე საუბარი არ ყოფილა, მინისტრები აგრძელებენ თანამდებობებზე მუშაობას, – აღნიშნა პარტიის თავმჯდომარემ.

თანამდებობის დატოვებაზე არც ჯერ ისევ მოქმედი მინისტრი გიგლა აგულაშვილი ფიქრობს.

– სანამ პრემიერ-მინისტრი გადაწყვეტს სხვანაირად, მაგალითად, მთავრობის ახალი შემადგენლობის დაკომპლექტებას, მე შევასრულებ ჩემს ვალდებულებებს. ჯერჯერობით, ხედავთ, რომ ვმუშაობ, პრემიერი თუ გამათავისუფლებს, წავალ, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში გიგლა აგულაშვილმა.

პარტიის ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილებას დავით უსუფაშვილი ოფიციალური განცხადებით გამოეხმაურა. მისი თქმით, არჩევნებში პარტიის მონაწილეობის ფორმატთან დაკავშირებით გადაწყვეტილება რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი:

– რესპუბლიკელები არ მსჯელობენ კოალიციიდან გასვლაზე და არც ერთი სამთავრობო თუ საპარლამენტო თანამდებობის პირი არ გეგმავს გადადგომას. საკითხი ეხება მხოლოდ მომავალ არჩევნებში პარტიის მონაწილეობის ფორმატს და ამ საკითხზე პარტიის გადაწყვეტილება რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი, – ვკითხულობთ პარლამენტის სპიკერის განცხადებაში.

ეროვნული კომიტეტის სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ საინტერესო განცხადება გააკეთა.

– ცუდი არ იქნება, თუ ყველა პარტია დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში და მერე უკვე პარლამენტში მივიღოთ გადაწყვეტილება, შეიქმნება თუ არა კოალიცია, – აღნიშნა კალაძემ.

ექსპერტების ნაწილის მტკიცებით, ამით კალაძემ რესპუბლიკელებს კოალიციის დატოვებისკენ ღიად მოუწოდა. რამდენიმე თვით ადრე ეს პოზიცია დააფიქსირა თამაზ მეჭიაურმა. მაშინვე ითქვა, რომ მან ბიძინა ივანიშვილის პოზიცია გაახმოვანა. თავად ქვეყნის მთავარ მეოცნებეს ჯერ საკუთარი პოზიცია არ დაუფიქსირებია.

კოალიციის შესაძლო რღვევას ამ ეტაპზე საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები არ ადასტურებენ. ამბობენ, რომ კომენტარის გაკეთება მოგვიანებით ურჩევნიათ, როცა რესპუბლიკელები განცხადებას გაავრცელებენ.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძე წუხს, რომ წინასწარმეტყველების უნარი არ აქვს, თუმცა რაღაც პროგნოზებს მაინც აკეთებს.

– რესპუბლიკელების კოალიციიდან გასვლაზე საუბარი ნაადრევია. ჩვენ საუბარი დავიწყეთ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის ფორმატზე. ზოგს მიაჩნია, რომ მოვლენები ასე განვითარდება, ზოგს მიაჩნია, რომ – ისე. მე ვერაფერზე ვივარაუდებ – არ ვარ ლელა კაკულია და ამ თემებზე ვერ ვიმკითხავებ. ჩვენ გვჭირდება ჩვენი ყველა მეგობრის, კოალიციური პარტნიორების პოზიციის გაცნობა და ჩვენს საკუთარ პოზიციებში ჩამოყალიბება, – განაცხადა ზვიად კვაჭანტირაძემ.

ეკა ბესელია კოალიციის დაშლაში ტრაგედიას ვერ ხედავს. ჟურნალისტებთან საუბარში ის ადასტურებს, რომ გუნდის შიგნით ამ თემაზე საუბარი მიდის, თუმცა გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

– ზოგჯერ დგება ეტაპი, როდესაც ჯობია, პოლიტიკურმა პარტიებმა ინდივიდუალურად მოსინჯონ თავიანთი შესაძლებლობები. ვერ ვხედავ ტრაგედიას, რომ კოალიცია დაიშალოს. ჩემთვის მისაღებია, რომ ცალ-ცალკე გავიდეთ არჩევნებზე და შემდეგ ისევ შევქმნათ კოალიცია, – აღნიშნა ეკა ბესელიამ.

ახლა ყველანი რესპუბლიკელების საბოლოო გადაწყვეტილებას ელოდებიან. კულუარებში კი ყველა ამბობს, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას ერთი კაცი ანუ ბიძინა ივანიშვილი მიიღებს.

# რამაზ საყვარელიძე: „უკეთესია, კოალიცია დაიშალოს“

ნათია ხურცილავა





პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ კოალიცია უნდა დაიშალოს და პოლიტიკური მრავალფეროვნება და პლურალიზმი წამოვიდეს წინა პლანზე, რათა ამომრჩეველს ჰქონდეს მრავალფეროვანი არჩევანის შესაძლებლობა.

**რამაზ საყვარელიძე:**

– კოალიციის დაშლა შეიძლება, „ქართული ოცნებისთვის“, როგორც პარტიისთვის, მეტ-ნაკლებად ხელსაყრელიც კი იყოს, რასაც ვერ ვიტყვით კოალიციაში შემავალი პარტიებისთვის.

***– მაგალითად, რესპუბლიკელებისთვის?***

– არა მხოლოდ რესპუბლიკელებისთვის, არამედ ფორუმისთვისაც და სხვებისთვისაც. მიუხედავად ამისა, მე მიმაჩნია, რომ დღეს ქვეყნის განვითარებისთვის უკეთესია, რომ კოალიცია დაიშალოს.

***– კოალიციამ თავისი თავი ამოწურა?***

– ცხადია, მან შეასრულა ის დავალება, რომლისთვისაც ის თავის დროზე შექმნა ბიძინა ივანიშვილმა. ივანიშვილმა როდესაც კოალიცია შექმნა, თქვა კიდეც, რომ ამ ეტაპზე ის ქმნის ამ სტრუქტურას, სამომავლოდ კი ყველა თავისი შესაძლებლობებით მიიღებს მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში.

ახლა დადგა სწორედ ის დრო, როდესაც პოლიტიკური მრავალფეროვნება და პლურალიზმი უნდა წამოვიდეს წინა პლანზე. პოლიტიკური პარტიები ყოველგვარი კოალიციის გარეშე უნდა შევიდნენ საარჩევნო მარათონში და შემდეგ მოხდება თუ არა გამარჯვებულ ძალებს შორის გარკვეული ერთობის ჩამოყალიბება, ეს მომავლის საქმეა.

***– მეჭიაურმა განაცხადა, პარლამენტში შესულმა ძალებმა მიღებული შედეგების მიხედვით შევქმნათ კოალიციაო. შეიძლება სწორედ ასე განვითარდეს მოვლენები?***

– რა თქმა უნდა. ეს უფრო უპრიანი იქნებოდა.

***– ამ შემთხვევაში ვის რა შანსები აქვს? მაგალითად, როგორი იქნება პარტია „ქართული ოცნების“ შედეგი?***

– „ქართულ ოცნებას“ ამ არჩევნებზე ივანიშვილის ავტორიტეტი კვლავ მნიშვნელოვნად დაეხმარება.

***– რესპუბლიკელები მოხვდებიან პარლამენტში?***

– რესპუბლიკელებს საკმაო დრო აქვთ წინ, რომ მოსახლეობასთან დიალოგი დაამყარონ და მოიპოვონ თავიანთი ამომრჩეველი. ეს პერსპექტივა მათ აქვთ. თუ რესპუბლიკელებს კოალიციიდან გასვლა გადაწყვეტილი აქვთ და დამოუკიდებელი ბრძოლისთვის ემზადებიან, უკეთესი იქნება, რაც უფრო ადრე გავლენ კოალიციიდან და დაიწყებენ დამოუკიდებელ მუშაობას.

***– კოალიციის დანარჩენ პარტიებს გაუჭირდებათ ბარიერის გადალახვა?***

– ამ პარტიებს, როდესაც ორთქლმავალში არიან ჩაბმულები, პარლამენტში მოხვედრა უფრო გაუადვილდებათ, ვიდრე ინდივიდუალურად, მაგრამ ოდესმე ხომ უნდა ისწავლონ ამ პარტიებმაც ბრძოლა და გამარჯვება. ისევე, როგორც დამოუკიდებლად ბრძოლა უნდა ისწავლოს „ქართულმა ოცნებამ“. ამდენად, ურიგო არ იქნება, თითოეულისთვის პოლიტიკური გამოცდილების ამაღლებისთვისაც ეს ვარიანტი.

***– ალასანიას პარტიის კოალიციიდან გასვლის პარალელი ამ შემთხვევაში უადგილო იქნება? რესპუბლიკელები კარს არ გაიჯახუნებენ?***

– მე დღესაც იმავე აზრზე ვარ, რომ ამ გასვლით ალასანიას გუნდს არაფერი მოუგია. არც ქვეყანას მოუგია. პირიქით, იზარალა, რადგან მთავრობის წევრების ასეთი მოულოდნელი გადადგომა, თანაც ასეთი დემარში, ყოველთვის არის დამაზიანებელი ქვეყნისთვის. ამდენად, სხვა პარტიებიც, ვინც არ უნდა გავიდეს კოალიციიდან, ქვეყანას თუ არ ჩააგდებენ სახიფათო მდგომარეობაში, ეს მხოლოდ დადებითად იმოქმედებს მათ იმიჯზე.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ბიძინა ივანიშვილმა მთავრობა იყიდა“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ იცავს დეპუტატების ნაწილი კბილებით ივანიშვილს, ვისი ვალი აქვს მინისტრებს და როგორ აბრუნებენ ისინი ვალს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ ხელმძღვანელი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.

**ლევან ხაბეიშვილი:**

– მონიტორინგის ცენტრმა „მედიატორმა“ მორიგი კვლევა ჩაატარა, რომელიც მინისტრების და დეპუტატების კრედიტებს ეხებოდა. ეს კვლევა ჯერ არ დასრულებულა და საზოგადოება ბევრ საინტერესო ფაქტს გაიგებს კიდევ. ამ თემით დავინტერესდით იმიტომ, რომ გვსურდა გაგვერკვია, რამდენად არიან მთავრობის წევრები ბიძინა ივანიშვილზე დამოკიდებული. ფინანსურ დამოკიდებულებაზე ვსაუბრობთ, თორემ ისე ყველამ იცის, რომ მთავრობა მხოლოდ პირველი მოქალაქის წინაშეა პასუხისმგებელი.

შუალედური კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მინისტრები ბიძინა ივანიშვილზე ფინანსური თვალსაზრისით საკმაოზე მეტად არიან დამოკიდებული. პოლიტიკურ შეფასებას თუ მივცემთ ამ ყველაფერს, გამოდის, რომ მას მთავრობა ნაყიდი ჰყავს. მინისტრების ნაწილს მისი პირადი ვალი აქვთ.

ყველაზე საინტერესო პრემიერ-მინისტრის შემთხვევაა. ყველაზე მეტი ვალი გიორგი კვირიკაშვილს აქვს. მას ბოლო 2 წლის მანძილზე ივანიშვილმა 293.000 აშშ დოლარის ღირებულების იპოთეკური სესხი მისცა. ცალკე ამბავია, რომ „ქართუ ბანკი“ სამომხმარებლო და იპოთეკურ სესხებს არ გასცემს. ბანკი მხოლოდ ბიზნეს-სესხებს გასცემს.

***– აბა კვირიკაშვილი როგორ გახდა „ქართუ ბანკის“ იპოთეკარი?***

– ამაზე ივანიშვილი იყო თანახმა და მან დიდი თანხა ასესხა პრემიერს – 293.000 დოლარი ნახევარ მილიონ ლარზე მეტია. ძალიან საინტერესო იქნება, როგორ ხდება ამ თანხების უკან დაბრუნება. გასარკვევია ისიც, ეს ხელშეკრულებები საერთოდ ფიქტიური ხომ არ არის.





მეეჭვება „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ამ საქმის გამოძიებით დაინტერესდეს. ჩვენ შევეცადეთ, ეს საკითხიც საკუთარი ძალებით შეგვესწავლა და პრემიერის შემთხვევაში საინტერესო რამე აღმოვაჩინეთ. ქონებრივ დეკლარაციაში მას უწერია, რომ 12 თვის მანძილზე 109.000 დოლარის ოდენობის ვალი გადაიხადა, რაც 250.000 ლარზე მეტია. აღმოჩნდა, რომ ვალის გადახდის პერიოდში მისმა მთლიანმა შემოსავალმა 83.000 ლარზე ცოტა მეტი შეადგინა, რაც ბუნებრივად აჩენს კითხვებს და ეჭვებს.

***– ვალის გასტუმრებაში იქნებ ოჯახის წევრები დაეხმარნენ?***

– როცა ვამბობ, რომ შემოსავალმა 83.000 ლარი შეადგინა, მხედველობაში კვირიკაშვილის მთელი ოჯახის შემოსავალი გვაქვს. ამ 83.000 ლარიდან 10.000 ლარი შვილების სწავლაზე დახარჯეს. მართლა საინტერესოა, როგორ მოახერხა გაცილებით მეტის გადახდა, ვიდრე შემოსავალი ჰქონდა.

კითხვებს ბადებს ვიცე-პრემიერ დიმიტრი ქუმსიშვილის შემთხვევაც. მან ბიძინა ივანიშვილისგან ისესხა 79.000 დოლარი. ამის ნახევარი გასასტუმრებელი აქვს. ვალის გასტუმრების პერიოდში მასაც გაცილებით ნაკლები შემოსავალი ჰქონდა.

„ქართუ ბანკიდან“ 140.000 დოლარის ოდენობის იპოთეკური სესხი აქვს გამოტანილი სოზარ სუბარს. ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მას ამ ვალის გადახდით თავი დიდად არ მოუკლავს. ეს ფაქტიც სერიოზულ კითხვებს აჩენს.

ბიძინა ივანიშვილის ვალი აქვს გარემოს დაცვის მინისტრ გიგლა აგულაშვილსაც.

ჩვენ ჯერ არ შეგვისწავლია მინისტრების მოადგილეების ვალები. გონივრული ეჭვი გვაქვს, რომ აქაც საინტერესო ამბებს გავიგებთ.

მინისტრებს ვინ ჩივის, მთავრობის ყოფილ წევრებსაც აქვთ ივანიშვილის ვალი. ყველას გახსოვთ სკანდალური მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე. მას ვალი აქვს 100.000 დოლარი. ფარცხალაძეს ეს ვალი დღემდე გადახდილი არ აქვს. ალბათ არც სთხოვს მას თანხის დაბრუნებას ოლიგარქი. სავარაუდოდ, ეს ვალი არის ჯილდო იმ პოლიტიკური დაკვეთების შესრულებისთვის, რასაც ფარცხალაძე ხელისუფლებაში ყოფნისას ასრულებდა.

კვლევის შედეგებს რომ ვაანალიზებთ, გვგონია, რომ მინისტრებთან დადებული ხელშეკრულებები ფიქტიურია და ამ ხალხს თავად ივანიშვილი უფარავს ვალს.

***– დეპუტატებში რა ხდება, მათაც აქვთ ივანიშვილის ვალი?***

– როგორ არ აქვთ. შოთა ხაბარელის ისტორია ყველამ იცის. იმისთვის, რომ ივანიშვილს ვალი დაუბრუნოს, კაცმა ვაკეში 19 სართულიანი კორპუსის მშენებლობა წამოიწყო.

ივანიშვილის ვალი აქვს დეპუტატ შალვა კიკნაველიძეს. მას საზოგადოება, ფაქტობრივად, არ იცნობს, მაგრამ ყოფილმა პრემიერმა 80.000 დოლარი ასესხა. ამ ვალის ნახევარი კიკნაველიძემ 6 თვეში დაფარა.

***– კარგი გადამხდელი ყოფილა.***

– მისი კარგი გადამხდელობაც ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. ქონებრივი დეკლარაციიდან ირკვევა რომ ამ ადამიანს 12 თვის მანძილზე შემოსავალი ჰქონდა სულ 57.000 ლარი. საინტერესოა, 6 თვეში სად იშოვა 40.000 აშშ დოლარი. კვლევის შედეგად ისიც გავარკვიეთ, რომ ბიძინა ივანიშვილი ამათ პროცენტს არ ართმევს.



ყოფილი პრემიერის ვალი აქვთ გია ჟორჟოლიანსა და ნუკრი ქანთარიას. ეს ის ხალხია, რომლებიც ხმალამოღებულები იცავენ ივანიშვილს და მისი აუგად ხსენებისთვის მზად არიან, ოპონენტებს თვალებიც კი დათხარონ. თემურ ჭკუასელსაც აქვს ივანიშვილის ვალი.

# „გიორგი პაპუაშვილს მემწვანილის ცოლი ემუქრებოდა“ – რისი „გადაფარვა სურდა“ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს

სულ რაღაც ორი კვირის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, გიორგი პაპუაშვილმა სკანდალური განცხადება გააკეთა. პაპუაშვილის თქმით, მისი ოჯახის წევრებს ემუქრებიან, – ამის შესახებ გაზეთი „პრაიმტაიმი“ წერს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამართალდამცავებმა საქმე აღძრეს და გამოძიება დაიწყეს. დაიკითხნენ პაპუაშვილი და მისი მეუღლე, თეა ხოფერია, რომლის ტელეფონზეც მუქარანარევი ზარი განხორციელდა.

„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, პირი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ოჯახის წევრს ემუქრებოდა, მემწვანილის ცოლია, რომელიც მათ ეზოში მწვანილსა და ბოსტნეულს ყიდის. ამ თემაზე საუბრის სურვილი არ მაქვს, უკაცრავად... ეს ამბავი მე არ გამიხმაურებია, – ამის შესახებ პაპუაშვილის მეუღლემ „პრაიმტაიმთან“ საუბრისას განაცხადა.

როგორც თეა ხოფერია აცხადებს, სამართალდამცავებს თვითონვე მოუყვა საქმის შესახებ და გამოძიების მსვლელობითა და დასკვნით კმაყოფილია.

– ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, ის არის, რომ გამოძიებასთან ვთანამშრომლობდი. მე თვითონ მოვუყევი ყველაფერი დაწვრილებით, არ ვყოფილვარ ჩასაფრებულის პოზიციით, რამდენჯერმე მივედი.

უკმაყოფილო არ ვარ არც გამოძიების მსვლელობით და არც დასკვნით... სანამ სამართალდამცავებთან დავრეკავდი, მანამდე რამდენიმე საათი მე თვითონ ვამოწმებდი, შემთხვევითი ხომ არ იყო ეს ზარი... მერე, სამართალდამცავები რომ გამოვიძახე, რამდენიმე კვირა სკურპულოზურად მიმდინარეობდა გამოძიება.



ბევრი დეტალი არ იცოდნენ და მე ვეხმარებოდი, მე თვითონ ვთავაზობდი ვერსიებს... ეჭვებს ვუზიარებდი. ერთს კი გეტყვით, რაც არ უნდა შემთხვევითობა იყოს, შემდეგშიც რომ განმეორდეს მსგავსი რამ, მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ არის სასიამოვნო დაკითხვებზე ხშირი სიარული, მაინც ყოველ ჯერზე განვაცხადებ ამის შესახებ, არ დამეზარება, – განაცხადა ხოფერიამ.

როგორც გაზეთი წერს, მისთვის „ექსკლუზიურად ცნობილი ხდება იმ ხმაურიანი ინციდენტების შესახებ, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს უკავშირდება.“

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელის, არჩილ კაიკაციშვილის თქმით, პაპუაშვილის წინააღმდეგ მაკომპრომეტირებელი მასალა არსებობს, თუმცა ის უკანონოდ არ არის მოპოვებული.

როგორც არჩილ კაიკაციშვილი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას აცხადებს, პაპუაშვილის განცხადება, რომელიც მის წინააღმდეგ კომპრომატს ეხება, ხელისუფლების მიმართ არამართლზომიერ ბრალდებას წარმოადგენს.

– გიორგი პაპუაშვილის მხრიდან სატელევიზიო ეთერში გაკეთებული განცხადება, თითქოსდა ხელისუფლებას მის მიმართ აქვს გარკვეული სახის კომპრომატი, წარმოადგენს ხელისუფლების მიმართ არამართლზომიერ ბრალდებას, რადგან პაპუაშვილმა ვერ მოიყვანა ვერანაირი მტკიცებულება.

პირველ შემთხვევაში მან განაცხადა, რომ თითქოს მის წინააღმდეგ კომპრომატის გამოქვეყნებას აპირებდა თეა წულუკიანი, რამაც საზოგადოებისა და მედიის დიდი ინტერესი გამოიწვია. ამის შემდეგ ის იძულებული გახდა, რომ დაეკონრეტებინა, რომ ეს კომპრომატი არ ეხებოდა მისი ინტიმური ცხოვრების დეტალებს და, სავარაუდოდ, ადგილი უნდა ჰქონოდა მის მთვრალ მდგომარეობაში ყოფნას, როდესაც მოსამართლისთვის შეუფერებელი ქმედებით გამოირჩეოდა.

პაპუაშვილმა შეგნებულად მოაწყო ეს აჟიოტაჟი, რადგან ხელისუფლებაზე მიეტანა შეტევა. ამ დემარშს მოჰყვა ვენეციის კომისიის განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ თითქოს იუსტიციის მინისტრი და მთავრობა დევნის გიორგი პაპუაშვილს.

სინამდვილეში კი გიორგი პაპუაშვილმა ამ ხმამაღალი განცხადებებით გადაფარა მის მიმართ ის სამართლებრივი პრეტენზიები, რომელიც სამთავრობო კომისიაზე დაისვა. ის, რომ პაპუაშვილის მიმართ არსებობს რაიმე არაკანონიერი გზით მოპოვებული მაკომპრომეტირებელი მასალა, არის აბსოლუტური სიცრუე.

ჩვენ დავსვით შეკითხვა გიორგი პაპუაშვილის მისამართით. კერძოდ, როცა ის ამბობდა, რომ არსებობს მასალა, სადაც ის არაფხიზელ მდგომარეობაშია, ხომ არ გულისხმობდა გიორგი პაპუაშვილი იმ შემთხვევას, როცა მას 2012 წლის სექტემბერში დაპირისპირება მოუვიდა საქართველოს პოლიციასთან.

ეს არის ფაქტი, როდესაც გიორგი პაპუაშვილს წინასაარჩევნო პერიოდში თბილისში, ბესიკის ქუჩაზე მოუვიდა მნიშვნელოვანი დაპირისპირება საპატრულო პოლიციის ეკიპაჟთან, საკონსტიტუციო სასამართლოს მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა თავმჯდომარემ აგინა პოლიციელებს, უშვერი სიტყვებით მოიხსენია ისინი და დაადანაშაულა „ქართული ოცნების“ მხარდაჭერაში. ამ ეკიპაჟმა ამოიცნო გიორგი პაპუაშვილი. მისი დაკავება იმუნიტეტის გამო ვერ მოხდა.

ჩემთვის ცნობილია ისიც, რომ მომდევნო დღეებში ეს ეკიპაჟი, რომელმაც დედის გინება მოუთმინა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, ქალაქის პოლიციის იმჟამინდელმა ხელმძღვანელობამ, კერძოდ, ბატონმა გრიგალაშვილმა, 300 ლარიანი პრემიებით წაახალისა. ჩვენ ამ დრომდე არ მიგვიღია აღნიშნულ კითხვაზე პასუხი. კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ მას, გასცეს ამ შეკითხვას პასუხი“, – აღნიშნა კაიკაციშვილმა „პრაიმტაიმთან“ საუბრისას.

**კვირა**

# შსს-მ ყალბი 20 და 50-ლარიანი კუპიურების დამზადება-გასაღებისთვის ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გურიაში ყალბი ფულის დამზადება-გასაღებისთვის 2 პირი დააკავა. შსს-ს ინფორმაციით, სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1983 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი კვიჭიძე გ. და 1977 წელს დაბადებული, ასევე წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ღამბაშიძე გ. დაბა ჩოხატაურში, ჯგუფის მიერ ყალბი ფულის დამზადება-გასაღების ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულების – ღამბაშიძე გ-ს პირადი ჩხრეკისას 31 ცალი ყალბი 20-ლარიანი და 6 ცალი ყალბი 50-ლარიანი კუპიურა; ხოლო კვიჭიძე გ-ს პირადი ჩხრეკისას – 6 ცალი ყალბი 20-ლარიანი და 2 ცალი ყალბი 50-ლარიანი კუპიურა ნივთმტკიცებად ამოიღეს. ყალბი კუპიურების თანხამ საერთო ჯამში 1040 ლარი შეადგინა.



გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა ყალბი კუპიურები თბილისში, საკუთარ საცხოვრებელ სახლებში, უცხოური წარმოების, ფერადი ლაზერული პრინტერის საშუალებით დაამზადეს. გასაღების მიზნით, ისინი ჩოხატაურის რაიონში ჩავიდნენ, „საკოლმეურნეო ბაზარში“ 2 ტომარა თხილი შეიძინეს და საფასური ყალბი ფულით გადაიხადეს.

პოლიციამ ყალბი ფულის დასამზადებელი ორივე აპარატი ნივთმტკიცებად ამოიღო. დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

გამოძიება ჯგუფის მიერ ყალბი ფულის დამზადება-გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 212-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით).

**ინტერპრესნიუსი**


**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ლალი აფციაური: „ფარულმა ჩანაწერებმა მთელი საქართველო მოიარა, სანამ პროკურატურაში მოხვდებოდა“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში განვითარებულ ბოლო პერიოდის სამართლებრივ საკითხებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში უფლებადამცველი **ლალი აფციაური** აფასებს.

***– ქალბატონო ლალი, ფარულ მიყურადებაზე და ვიდეოკადრების გავრცელებაზე სასჯელი მკაცრდება და ეს დანაშაული გადადის მძიმე დანაშაულის კატეგორიაში. რას ფიქრობთ თქვენ?***

– მივესალმები ამ ინიციატივას. მძიმე კი არა, უმძიმესი დანაშაულია. აუცილებლად პასუხი უნდა მოეთხოვოს ამ კადრების შემქმნელებს. პირველ რიგში უნდა გამოიძიონ, ვისგან იქნა ეს კადრები შექმნილი, მოპოვებული და ასე შემდეგ და შემდგომი ეტაპი ამ კადრების გავრცელებაა. ორი უმძიმესი დანაშაულია ეს! აქედან გამომდინარე, ორივე მხარე, ამ კადრების შემქმნელებიც და გამავრცელებლებიც, სასტიკად უნდა იქნეს დასჯილი.

***– მუხლის დამძიმება რამდენად დაუკარგავს ამ დანაშაულის ჩამდენებს ფარული მიყურადების სურვილს?***

– იმედია, რომ დაუკარგავს. მეტ-ნაკლებად შემაკავებელი ფაქტორი მაინც იქნება მძიმე სასჯელის მოლოდინი. რაც ახლა ხდება, მსგავსი რამ ჩემს პრაქტიკაში არ მახსოვს. იმედია, სასჯელის სიმკაცრიდან გამომდინარე, ნაკლებად გაუჩნდებათ მსგავსი დანაშაულის ჩადენის სურვილი.



***– სახალხო დამცველმაც დაიწყო დღეიდან კამპანია, დროის ათვლა. ის მოუწოდებს ხელისუფლებას, რომ რაც შეიძლება დროულად გამოიძიონ 11 მარტს მომხდარი ინციდენტი. რამდენად არის გამოძიების შანსი?***

– დღეს ბევრს საუბრობენ ხელისუფლების, სამართალდამცავების უსუსურობაზე, თუმცა არც ასე მარტივადაა საქმე. ეს კადრები ვიდრე პროკურატურაში აღმოჩნდებოდა, გაქცეულმა ნაცებმა როგორც კი თავი შეაფარეს სხვადასხვა ქვეყანას, დაიწყო ამის გავრცელება ტელეფონების მეშვეობით.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ ვიდეო მესიჯების მეშვეობით ავრცელებდნენ ამ ფარულ ჩანაწერებს. ვიდრე ეს კადრები პროკურატურამდე მიაღწევდა, უამრავი ადამიანის ხელში გამოიარა. მთელი საქართველო მოიარა. აქედან გამომდინარე, ამის გამოძიება გართულდება. ცნობილი ფაქტია, ვიდეო მესიჯებით ხდებოდა ამ ყველაფრის გავრცელება!



***– იმის თქმა გინდათ, რომ ასლი უამრავია?***

– დიახ, ძალიან ბევრია. ამიტომ პროკურატურის ერთი ხელის მოსმით დადანაშაულება არ არის სწორი. ამ კადრების განადგურება ძალიან გაჭირდება.

***– ქალბატონო ლალი, თქვენ გაქცეული ნაციონალები ახსენეთ. გასულ კვირას ინტერპოლმა დათა ახალაიაზე ძებნა შეწყვიტა. რას ფიქრობთ თქვენ?***

– პირის ექსტრადირება სერიოზულ პროცედურებთან არის დაკავშირებული. პირადად მე არაერთი დანაშაულში ბრალდებული ადამიანის ექსტრადიცია შემიჩერებია სამი, ოთხი წელი და, საბოლოო ჯამში, გადმოცემა არც კი განხორციელებულა. ვინაიდან ეს საერთაშორისო კანონმდებლობით რეგულირდება, არ არის მარტივად ხელმისაწვდომი თემა. ნებისმიერ სიტუაციაში რთულია ამ საკითხის მოგვარება.

***– ანუ ძალოვანი უწყებები არაფერ შუაშია?***

– აქედან გამომდინარე, იმაში, რომ პროკურატურა უნიათოა, ვერავის დავეთანხმები, რადგან რთულად ხორციელდება ეს პროცედურები.

***– რატომ მოიხსნა ახალაია წითელი ცირკულარიდან?***

– ვერ გეტყვით ამ დეტალების შესახებ, არ ვიცი, რა მოხდა იქ სამართლებრივი კუთხით, არ მინახავს ეს დოკუმენტები. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ გაქცეულ ხელისუფლებას სერიოზული კავშირები აქვს.

***– ამით რისი თქმა გსურთ?***

– აქედან გამომდინარე, მათთვის უფრო ადვილი იყო იმის მიღწევა, რასაც მიაღწიეს. ანუ ინტერპოლის ძებნა მოეხსნა დათა ახალაიას. სერიოზული ფინანსები იხარჯება მათ საადვოკატო მომსახურებაში. არავისთვის არ არის უცხო, რომ მათ სერიოზული ფინანსები გაიტანეს ქვეყნიდან, მოპარული ფული და დღეს ამ თანხებით ახერხებენ თავის დაცვას.

***– საუბარია, რომ ამ ფონზე იმათა ნაციონალების გონორმა, ახალი ხელისუფლების დადანაშაულებამ, რაც საზოგადოებაში გაღიზიანებას იწვევს.***

– ერთადერთი, ამ ხელისუფლების დანაშაული ის არის, რომ ამ კრიმინალურ ბანდას მისცა გაქცევის და მიმალვის საშუალება და ვინც დარჩნენ, ისინი ციხეებში რომ არ არიან. აი, ეს არის ხელისუფლების დანაშაული ამ საკითხებში! ე.წ. კოჰაბიტაცია და ვაიმე, ევროპა რას იტყვის და ვაიმე – ვაშინგტონი, ამის გათვალისწინება კატეგორიულად უნდა გამორიცხულიყო. იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, როგორც ევროპისთვის, ისე ვაშინგტონისთვის, ნაკლებად მნიშვნელოვანია, რა მდგომარეობამდე მიიყვანა საქართველოს მოსახლეობა ნაციონალურმა მოძრაობამ. როგორც მიშა იტყოდა – ყველანი ციხეში, სწორედ ასეთი სტანდარტებით უნდა ემოქმედა ახალ ხელისუფლებას.

***– რატომ ვერ მოახერხა ხელისუფლებამ მტკიცებულებების მოპოვება?***

– ალბათ ყველას კარგად გახსოვთ არჩევნების წინ, გროვებად დამწვარი სისხლის სამართლის საქმეები თბილისის შემოგარენში. ნაცებმა როგორც კარგად იცოდნენ დანაშაულის ჩადენა, ასევე კარგად იცოდნენ მტკიცებულებების განადგურებაც. დიდი ნაწილი მტკიცებულებებისა განადგურებულია, ხოლო ხელახალი მტკიცებულებების შექმნა არც ისე მარტივია. ასევე რთულია დანაშაულის დამტკიცებაც.

***– ანუ ამ მოცემულობის შეცვლა გაუჭირდება ხელისუფლებას?***

– რა თქმა უნდა და ვხედავთ, რომ კიდეც გაუჭირდა. ხანდახან ისეთ გამოუვალ მდგომარეობაში ვარდებიან, რომ მაგათი საცოდაობით ვიწვი. საკმაოდ რთულად არის საქმე.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საჯარო სამსახურებში დღემდე ბევრია, განსაკუთრებით კი ძალოვან სტრუქტურებში, ისეთი ადამიანები, რომლებიც ნაცებთან ერთად ჩადიოდნენ დანაშაულს. ამ საკითხმაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა ხელისუფლებას. აუცილებელია, გაცხრილვა მოხდეს ამ ადამიანებისგან ძალოვანი უწყებების, რადგან ნებისმიერი ინფორმაცია, თუ რას აკეთებს, ან რას აპირებს ხელისუფლება, მათი მეშვეობით ნაციონალებთან მიდის. მეტი სიფრთხილე და მეტი ყურადღება მართებს ხელისუფლებას.

# ეკა გიგაური: „სამართალდამცავებს არ უნდა შეეძლოთ ვინმეს მოსმენა“



კამპანია „ეს შენ გეხება“ წევრები მსჯელობენ, როგორ უნდა მოგვარდეს მოსმენების სისტემა, – ამის შესახებ ჟურნალისტებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა ეკა გიგაურმა განუცხადა.

მისივე განმარტებით, სწორედ ამ მიზნით მიმართა რამდენიმე თვის წინ კამპანიამ სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოს.

**ეკა გიგაური:**

– ადრე იყო საუბარი იმაზე, თუ რამდენი ე.წ. გასაღები უნდა იყოს და ვის უნდა ჰქონდეს პირდაპირი წვდომა მობილურ ოპერატორებში დაცულ ინფორმაციაზე.

დღეს ჩვენ ვმსჯელობთ იმაზე, როგორ უნდა მოგვარდეს ეს სისტემა. მომზადებული კონცეფციით უნდა მივიდეთ ყველა პოლიტიკურ პარტიასთან, რომელიც მონაწილეობს საპარლამენტო განხილვებში იმისთვის, რომ მოვიპოვოთ მათი მხარდაჭერა.

მისივე განმარტებით, მთავარი ამ კონცეფციაში იქნება ის, რომ უკონტროლო წვდომა სამართალდამცავ სტრუქტურებს არ უნდა ჰქონდეს მობილურ ოპერატორებში დაცულ ინფორმაციაზე.

– ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, სამართალდამცავმა უწყებებმა უნდა ჩაატარონ გამოძიება, თუმცა, მეორე მხრივ, მექანიზმები, რომლებიც არის მათ ხელში, ბოროტად არ უნდა იქნას გამოყენებული და ამაზე საჭიროა კონტროლის დაწესება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „გასაღები“ არ უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ სამართალდამცავების ხელში. მთავარია, რომ მათ არ უნდა შეეძლოთ ვინმეს მოსმენა გარე კონტროლის გარეშე. ყოველთვის უნდა იყოს მეორე ან მესამე პირი, რომელიც მათ გააკონტროლებს, – განაცხადა გიგაურმა.

**ინტერპრესნიუსი**



# სერგო რატიანი: „ქართული ოცნება“ შეიძლება თავად ამ პარტიის წევრებმაც დატოვონ“

– არსებობს მოლოდინი, რომ „ქართული ოცნება“ თავად ამ პარტიის წევრებმაც დატოვონ, – ასე გამოეხმაურა „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი სერგო რატიანი კოალიციიდან „რესპუბლიკური პარტიის“ შესაძლო გასვლას.

რატიანის თქმით, „ქართული ოცნების“ არც იმიჯი და არც რეიტინგი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ პარტია მოიგებს მომავალ არჩევნებს და სწორედ ეს ქმნის იმ ვითარებას, რომ რესპუბლიკელებმაც და სხვებმაც შეიძლება დატოვონ კოალიცია.

**სერგო რატიანი:**

– დღეს „ქართული ოცნების“ რეპუტაცია არის შელახული. მოლოდინი თავად ამ პარტიაში არის, რომ შეიძლება წააგონ არჩევნები, დანარჩენებსაც აქვთ ეს მოლოდინი და, რასაკვირველია, პარტიიდან ყველა გარბის. არსებობს ასევე მოლოდინი, რომ თავად ამ პარტიის წევრებმაც დატოვონ ის.

მე ამასაც ველოდები. სწორედ ეს ქმნის იმ ვითარებას, რომ რესპუბლიკელებმაც და სხვებმაც შეიძლება დატოვონ კოალიცია და პარტია.

**ინტერპრესნიუსი**

# ნინო ბურჯანაძე: „ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით ყალბ მოლოდინებს ქმნიან“

– ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით მოსახლეობას არ ეუბნებიან ბოლომდე სიმართლეს და ქმნიან ყალბ მოლოდინებს, – ამის შესახებ დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.



როგორც ბურჯანაძემ აღნიშნა, ისევ გააქტიურდა თემა ევროპაში უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით.

**ნინო ბურჯანაძე:**

– მე მინდა ისევ ხაზგასმით აღვნიშნო ის გარემოება, რომ ჩვენს მოსახლეობას არ ეუბნებიან ბოლომდე სიმართლეს. ხელისუფლება ქმნის ყალბ მოლოდინებს. უკვე გაჩნდა ახალი მოსაზრებები, რომ ვიზალიბერალიზაციის საკითხი მიებმება არჩევნების ჩატარების საკითხს.

ეს უკვე ძალიან სერიოზული ნიშანია იმისა, რასაც მე ვამბობდი, რომ სამწუხაროდ, დიდი ალბათობით, ვიზალიბერალიზაცია პრობლემური იქნება ჩვენი ქვეყნისათვის, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი თქმით, გარდა ზემოაღნიშნული განცხადებისა, მოსახლეობას ნათლად უნდა აუხსნან ყველაფერი, რაც ევროპაში შესაძლო უვიზო მიმოსვლასთან არის დაკავშირებული.

– პირველ რიგში ჩვენმა მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ აქ არ არის საუბარი საქართველოს მოსახლეობისათვის ევროპაში მუშაობის საშუალების მიცემაზე. მე ძალიან კარგად ვიცი, რომ ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ელოდება სწორედ იმას, რომ თავისუფალი უვიზო მიმოსვლა მათ მისცემს ევროპაში წასვლის და იქ მუშაობის შესაძლებლობას. ეს არის ტყუილი.

ადამიანები იქ სამუშაოდ ვერ წავლენ, ეს არ არის სამუშაო ვიზა და ეს ჩვენმა ხელისუფლებამ ხალხს უნდა უთხრას, – განაცხადა დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა.

მისი თქმით, პრაქტიკულად უმჯობესი შეიძლება იყოს, რომ ვიზა ჰქონდეს ადამიანს პასპორტში, ვინაიდან იმდენად დიდია იმ დოკუმენტებისა და სავალდებულო საბუთების ნუსხა, რაც ადამიანს უნდა ჰქონდეს ევროპაში უვიზო მიმოსვლის წასვლის შემთხვევაში, რომ ძალიან დიდი იქნება რაოდენობა ადამიანებისა, რომლებიც შეიძლება შუა გზიდან უკან მოაბრუნონ და ისედაც გაჭირვებული მოსახლეობა ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

– უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული ყველა ნიუანსი ნათლად უნდა განემარტოს მოსახლეობას და ადამიანების ილუზიებით კვებას თავი უნდა დავანებოთ, მით უფრო იმ ვითარებაში, როდესაც მოსახლეობისათვის ამ ტიპის საკითხები ძალიან მნიშვნელოვანია.

მესმის, საარჩევნო წელია, მესმის, რომ საარჩევნო წელს ხელისუფლებამ ბევრი დაპირებები უნდა გასცეს, მაგრამ ისედაც საკმარისზე მეტია ტყუილი დაპირებები გაცემული და კიდევ ერთი დამატებითი დაპირების გაცემა ნამდვილად აღარ უნდა უღირდეთ ხელისუფლებას, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# „დაკითხეთ მეჭიაური და ლორთქიფანიძე!"

## თამაზ მეჭიაური: „გირჩები, ციყვები, ნაციონალები და არასამთავრობოები შანტაჟს ახორციელებენ"

შორენა მარსაგიშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი, ეკა გიგაური პროკურატურას კიდევ ერთხელ მიმართავს.

ცოტა ხნის წინ, მისი მოთხოვნით, საგამოძიებო უწყებამ საგარეჯოს შუალედური არჩევნების შესწავლა დაიწყო. ახლა გიგაური დეპუტატების თამაზ მეჭიაურისა და დავით ლორთქიფანიძის დაკითხვას ითხოვს.

მისი თქმით, საუბარია პირადი ცხოვრების კადრების გავრცელებასთან დაკავშირებით ამ უკანასკნელთა განცხადებებზე.

– ჩვენ ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია, რომ ბატონი მეჭიაური და ლორთქიფანიძე დაიკითხონ პროკურატურის მიერ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი, ერთი მხრივ, აანონსებდნენ და მეორე მხრივ, კონკრეტულ დეტალებზე საუბრობდნენ ამ ვიდეოებთან დაკავშირებით. შესაბამისად, პროკურატურა უნდა დაინტერესდეს, თუ რა ინფორმაცია გააჩნიათ ამ კონკრეტულ პირებს, – აღნიშნა ეკა გიგაურმა.

ეს ამბავი, ბუნებრივია, თამაზ მეჭიაურის ყურამდეც მივიდა. მან კომენტარის გაკეთება არ დაიზარა და ისეთი განცხადება გააკეთა, სკანდალები კაი ხანს რომ გარანტირებული გვექნება.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ გამოძიება არა მისი განცხადებით, არამედ არასამთავრობოების საქმიანობით უნდა დაინტერესდეს.

თამაზ მეჭიაური მთელ რიგ არასამთავრობო ორგანიზაციებს ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში ადანაშაულებს.

– ნებისმიერი თანამდებობის პირი, რომელიც საფრთხეს უქმნის თავის ქვეყანაში უშიშროებას და შეიძლება იყოს შანტაჟს დაქვემდებარებული, ის არ უნდა იყოს ხელისუფლებაში, ვისაც დაემთხვევა და ვის არა, მაგაზე ვიფიქრო? ეს არის შანტაჟი იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, რომლებიც ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწევიან, ზუსტადაც, იმიტომ, რომ ცდილობენ, ნებისმიერი საფრთხის შემცველი ქმედებები გადაფარონ, – განაცხადა მეჭიაურმა.

ჟურნალისტებთან საუბარში ის ფარული კადრების გავრცელების საქმეზე სპეციალური საგამოძიებო კომისიის შექმნასაც შეეხო.

მისი თქმით, ასეთი კომისია რომ შეიქმნას, უმრავლესობას უნდა წარმოადგენდეს დღევანდელი ოპოზიცია.

– ეს გირჩები, ციყვები, ნაციონალური მოძრაობა, რომლებიც მაშინ იყვნენ ხელისუფლებაში, როცა ეს ჩანაწერები კეთდებოდა. თვითონ იყვნენ მაშინ შემკვეთებიც, თქვენი ხელმძღვანელიდან დაწყებული, რეჟისურაც, გადაღებაც, ტირაჟირებაც ხდებოდა მათ მიერ. ანუ უნდა მივაბაროთ ახლა მგლებს თუ მგლებზე უარეს მტაცებლებს ამ ცხვრების ბედის გამოძიება. დაემატებიან კიდევ გრანტიჭამია არასამთავრობოები, რომლებიც დაატარებენ 3-4 პლაკატს და 3-4 ჰომოსექსუალს ქალაქიდან ქალაქში, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.



## ანა ნაცვლიშვილი: „მეჭიაურის, ლორთქიფანიძის და თოფაძის განცხადებები ბევრ კითხვას აჩენს"



„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილი მიიჩნევს, რომ პროკურატურის მხრიდან შესწავლის საგანი უნდა გახდეს, საიდან შეიძლება ფლობდეს ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით დამატებით ინფორმაციას უმრავლესობის ზოგიერთი დეპუტატი.

როგორც ანა ნაცვლიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, განცხადებები, რომლებიც გააკეთეს თამაზ მეჭიაურმა, დავით ლორთქიფანიძემ და გოგი თოფაძემ, არის ცალსახად მიუღებელი და ბევრ კითხვას აჩენს, საიდან აქვთ ამ ადამიანებს დამატებითი ინფორმაცია ფარულ კადრებთან და მათ შესაძლო შინაარსთან დაკავშირებით.

**ანა ნაცვლიშვილი:**

– ასევე ძალიან სერიოზულ კითხვას აჩენს, რატომ ემთხვევა მათი მესიჯები ვიდეოების გამავრცელებლების მესიჯებს, რატომ არის ეს მესიჯები აცდენილი პრემიერის და გუნდის სხვა წარმომადგენლების მესიჯებთან და რა არის საბოლოო ჯამში მმართველი გუნდის პოზიცია.

ასევე არაერთ კითხვას აჩენს, რატომ აქვთ ამ ადამიანებს ასეთი ტიპის გონორი, როდესაც ამ საკითხებზე საუბრობენ და ვინ დგას რეალურად მათ უკან, როდესაც ისინი ასეთი გაბედულები არიან, მორალი წაუკითხონ კონკრეტულ ადამიანებს და საზოგადოებას.

**ინტერპრესნიუსი**

## თინა ხიდაშელი: „არ ვაპირებ გადადგომას არც მე და არც ერთი სხვა რესპუბლიკელი მინისტრი"



თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი გადადგომას არ აპირებს. შესაბამისი კომენტარი ხიდაშელმა მედიასთან საუბარში კოალიცია „ქართული ოცნებიდან" რესპუბლიკური პარტიის გასვლის შესაძლებლობის საკითხზე დასმულ შეკითხვაზე საპასუხოდ გააკეთა.

ხიდაშელის ინფორმაციით, დაკავებული თანამდებობების დატოვებას არ აპირებენ არც სხვა რესპუბლიკელი მინისტრები.

**თინა ხიდაშელი:**

– ნამდვილად არ ვაპირებ გადადგომას, არც მე და არც ერთი რესპუბლიკელი მინისტრი. არც კოალიციიდან წასვლას არ ვგეგმავთ. საერთოდ ცხოვრებაში არაფერია გამორიცხული, მაგრამ ჩვენ არ ვგეგმავთ არც კოალიციიდან წასვლას და არც არანაირი მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებების მიღებას.

წინასაარჩევნო პერიოდი იწყება და პარტიები მსჯელობენ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში რა ფორმატით და კონფიგურაციით აპირებენ გასვლას. ვფიქრობ, ეს სწორი პროცესია.

ამასთან, მან „საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაზეც" ისაუბრა და აღნიშნა, რომ შეტევა „გაუგებარი ადამიანების" მიერ ხორციელდება.

– ბრმა უნდა იყო ვერ ხედავდე, რომ მასობრივად ხდება შეტევა პირადად თავდაცვის მინისტრზე. პირადად თინა ხიდაშელზე არ არის საუბარი, საუბარია თავდაცვის მინისტრზე შეტევაზე.

შეტევა დაწყებულია გაუგებარი პოლიტიკური წარმოშობის ადამიანებისგან (არც მინდა მათი სახელების და გვარების დასახელება), დამთავრებული ამხელა მეზობელი ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირებით, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

თავდაცვის მინისტრმა ასევე დაადასტურა, რომ რეგულარულად აქვს ურთიერთობა ბიძინა ივანიშვილთან და „არანაირი პრობლემა ამ ურთიერთობას არა აქვს". რაც შეეხება განსახილველ საკითხებს, ხიდაშელის ინფორმაციით, საკითხები შეეხება ქვეყნისთვის მნიშვნელოვან თემებს.

**ინტერპრესნიუსი**

## ზვიად კვაჭანტირაძე: „მე არ ვარ ლელა კაკულია და ვერ ვიმკითხავებ"




– მე არ ვარ ლელა კაკულია და ვერ ვიმკითხავებ. ჯერჯერობით, დღევანდელი მდგომარეობით იმაზე საუბარი, რომ ვიღაც კოალიციიდან გადის, ზედმეტი და ნაადრევია, – ამის შესახებ ჟურნალისტებს უმრავლესობის ლიდერმა ზვიად კვაჭანტირაძემ განუცხადა.

როგორც კვაჭანტირაძემ განმარტა, მას მხოლოდ იმის დადასტურება შეუძლია, რომ კონსულტაციები საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის ფორმატზე დაწყებულია.

– რესპუბლიკელების კოალიციიდან გასვლაზე საუბარი ნაადრევია. ჩვენ საუბარი დავიწყეთ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის ფორმატზე. ზოგს მიაჩნია, რომ მოვლენები ასე განვითარდება, ზოგს მიაჩნია, რომ – ისე.

მე ვერაფერზე ვივარაუდებ – არ ვარ ლელა კაკულია და ამ თემებზე ვერ ვიმკითხავებ. ჩვენ გვჭირდება ჩვენი ყველა მეგობრის, კოალიციური პარტნიორების პოზიციის გაცნობა და ჩვენს საკუთარ პოზიციებში ჩამოყალიბება, – განუცხადა ჟურნალისტებს ზვიად კვაჭანტირაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველოს ფილიპ ჰამონდი ეწვევა



საქართველოს 29-30 მარტს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი ფილიპ ჰამონდი ეწვევა. როგორც „ინტერპრესნიუსს" საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, ვიზიტის ფარგლებში გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი ფილიპ ჰამონდი შეხვედრებს გამართავს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან და საგარეო საქმეთა სამინისტროში.

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნი ფილიპ ჰამონდი სიტყვით გამოვა „სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ფორუმზე", რომელიც ნიდერლანდების ინსტიტუტი „მრავალპარტიული დემოკრატიისთვის" მიერ არის ორგანიზებული.

**ინტერპრესნიუსი**

## ომბუდსმენი: „წამზომი ჩართულია"



საქართველოს სახალხო დამცველმა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანია „წამზომი ჩართულია" დაიწყო.

როგორც პრესკონფერენციაზე სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა განაცხადა, კამპანიის მიზანია საგამოძიებო ორგანოებმა სწრაფად და ეფექტურად დაადგინონ და დასაჯონ ის პირები, რომლებმაც უკანონოდ შექმნეს, მოიპოვეს და გაავრცელეს ერთ-ერთი პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები 2016 წლის 11 მარტს, ხოლო საზოგადოებამ მუდმივ რეჟიმში მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ.

**უჩა ნანუაშვილი:**

– საზოგადოებას აქვს ლეგიტიმური შეკითხვა, რომელსაც სახელმწიფომ უნდა უპასუხოს, ვინ მოიპოვა და გაავრცელა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები და როგორ უნდა აღმოიფხვრას მსგავსი შემთხვევის გამეორების რისკი, რაც საზოგადოების ცალკეული წევრის შანტაჟის და მანიპულაციის წარმატებულ პრაქტიკად უკვე ყალიბდება.

ამ საფრთხის განცდა სახელმწიფოს აიძულებს გამოავლინოს ის დამნაშავე პირები, რომლებმაც შექმნეს, მოიპოვეს კადრები და ინტერნეტში გაავრცელეს იმისთვის, რომ საზოგადოებაში აღდგეს პირადი ცხოვრების დაცულობის განცდა და აღმოიფხვრას დანაშაულის ჩამდენ პირებში დაუსჯელობის სინდრომი.

აუცილებელია თითოეული მსგავსი დანაშაულის ეფექტიანი გამოძიება და საზოგადოების სრულყოფილი ინფორმირება გამოძიების შედეგების შესახებ. სწორედ უახლოეს წარსულში მომხდარი მსგავსი ფაქტების გამოუძიებლობამ განაპირობა მნიშვნელოვნად, პირად ცხოვრებაში უხეში ჩარევის პრაქტიკის დანერგვა. საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის და ლეგიტიმური აუცილებლობის გათვალისწინებით სახალხო დამცველი იწყებს დღის, საათისა და წუთის ათვლას დანაშაულის ჩადენიდან, 2016 წლის 11 მარტიდან, დამნაშავე პირების გამოვლენამდე, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

მისივე თქმით, საზოგადოებამ უნდა იცოდეს 2016 წლის 11 მარტს გავრცელებული პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები ვინ შექმნა და გაავრცელა და როგორ მიმდინარეობს ამ დანაშაულის გამოძიება. მისივე ინფორმაციით, კამპანიის ფარგლებში სახალხო დამცველი პერიოდულად შეახსენებს საზოგადოებას და საგამოძიებო ორგანოებს ამ დანაშაულის თაობაზე და გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

როგორც უჩა ნანუაშვილმა ბრიფინგზე განაცხადა, სახალხო დამცველის აპარატი ჩართული იქნება გამოძიების მიმდინარეობის პერიოდში ზედამხედველობის კუთხით.

უჩა ნანუაშვილის ინფორმაციით, მას ამ საკითხზე შეხვედრა ჰქონდა ასევე მთავარ პროკურორთან.

**ინტერპრესნიუსი**

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე", წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# შპს თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი

**აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ასისტენტი) დასაკავებლად შემდეგ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე:**

**ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად, შემდეგი მიმართულებით:**

- ფინანსები;
- მარკეტინგი;
- მენეჯმენტი;
- ეკონომიკა;

**ვაკანტური ადგილები:**

- პროფესორი -3 ვაკანსია
- ასოცირებული პროფესორი – 5 ვაკანსია;
- ასისტენტ-პროფესორი – 4 ვაკანსია;

**ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად, შემდეგი მიმართულებით:**

- ფინანსები;
- მარკეტინგი;
- მენეჯმენტი;
- ეკონომიკა;

**ვაკანტური ადგილები:**

- პროფესორი -3 ვაკანსია
- ასოცირებული პროფესორი – 5 ვაკანსია;
- ასისტენტ-პროფესორი – 4 ვაკანსია;
- ასისტენტი – 4 ვაკანსია.

**ფარმაციის ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად, შემდეგი მიმართულებით:**

- ქიმია;
- ბიოლოგია;
- ფარმაკოლოგია
- ფარმაკოგნოზია
- ფარმაცია
- ბოტანიკა

**ვაკანტური ადგილები:**

- პროფესორი -3 ვაკანსია
- ასოცირებული პროფესორი – 5 ვაკანსია;
- ასისტენტ-პროფესორი – 4 ვაკანსია.
- ასისტენტი – 6 ვაკანსია.

**ფარმაციის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად, შემდეგი მიმართულებით:**

- ქიმია;
- ბიოლოგია;
- ფარმაკოლოგია
- ფარმაკოგნოზია
- ფარმაცია
- ბოტანიკა

**ვაკანტური ადგილები:**

- პროფესორი -3 ვაკანსია
- ასოცირებული პროფესორი – 5 ვაკანსია;
- ასისტენტ-პროფესორი – 4 ვაკანსია.
- ასისტენტი – ვაკანსია 6.

**საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად, შემდეგი მიმართულებით:**

- საერთაშორისო პოლიტიკა;
- საერთაშორისო ეკონომიკა
- საერთაშორისო ურთიერთობები;

**ვაკანტური ადგილები:**

- პროფესორი – 2 ვაკანსია
- ასოცირებული პროფესორი -4 ვაკანსია;
- ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანსია;
- ასისტენტი – 3 ვაკანსია.

**ზოგად მაპროფილებელი სასწავლო დისციპლინების განსახორციელებლად, შემდეგი მიმართულებით:**

- ქართული ფილოლოგია;
- ინგლისური ფილოლოგია;
- რუსული ფილოლოგია;
- გერმანული ფილოლოგია;
- მსოფლიო ისტორია;
- საქართველოს ისტორია;
- ფსიქოლოგია;
- ფილოსოფია.

**ვაკანტური ადგილები:**

- ასოცირებული პროფესორი – 6 ვაკანსია;
- ასისტენტ-პროფესორი – 4 ვაკანსია;
- ასისტენტი – 4 ვაკანსია.

**საკონკურსო კრიტერიუმები ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**

- დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი მიმართულების/დარგის შესაბამისად;
- არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება – ავტორიზებული, ან მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში
- უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული არანაკლებ ხუთი სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაცია და ერთი მონოგრაფია შესაბამისი დარგისათვის აქტუალურ საკითხებზე;

**საკონკურსო კრიტერიუმები ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**

- დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი მიმართულების/დარგის შესაბამისად;
- არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება – ავტორიზებული, ან მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში
- უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული არანაკლებ ხუთი სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაცია და ერთი მონოგრაფია შესაბამისი დარგისათვის აქტუალურ საკითხებზე;
- ინგლისური ენის ცოდნის ფლობის დონის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია საერთაშორისო სერტიფიკატი ან/და სხვა დოკუმენტი.

**საკონკურსო კრიტერიუმები ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**

- დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი მიმართულების/დარგის შესაბამისად;
- არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება – ავტორიზებული, ან მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული არანაკლებ ხუთი სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაცია , შესაბამისი დარგისათვის აქტუალურ საკითხებზე.

**საკონკურსო კრიტერიუმები ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**

- დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი მიმართულების/დარგის შესაბამისად;
- არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება – ავტორიზებული, ან მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული არანაკლებ ხუთი სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაცია , შესაბამისი დარგისათვის აქტუალურ საკითხებზე.
- ინგლისური ენის ცოდნის ფლობის დონის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია საერთაშორისო სერტიფიკატი ან/და სხვა დოკუმენტი.

**საკონკურსო კრიტერიუმები ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**

- დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი მიმართულების/დარგის შესაბამისად;
- უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული არანაკლებ სამი სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაცია, შესაბამისი დარგისათვის აქტუალურ საკითხებზე.

**საკონკურსო კრიტერიუმები ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**

- დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი მიმართულების/დარგის შესაბამისად;
- უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული არანაკლებ სამი სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაცია , შესაბამისი დარგისათვის აქტუალურ საკითხებზე.
- ინგლისური ენის ცოდნის ფლობის დონის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია საერთაშორისო სერტიფიკატი ან/და სხვა დოკუმენტი.

**საკონკურსო კრიტერიუმები ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**

- დოქტორანტი შესაბამის მიმართულებაში/დარგში;
- უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული არანაკლებ ერთი სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაცია, შესაბამისი დარგისათვის აქტუალურ საკითხებზე.
- ინგლისური ენის ცოდნის ფლობის დონის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია საერთაშორისო სერტიფიკატი ან/და სხვა დოკუმენტი.

**საკონკურსო კრიტერიუმები ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**

- დოქტორანტი შესაბამის მიმართულებაში/დარგში;
- უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული არანაკლებ ერთი სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაცია, შესაბამისი დარგისათვის აქტუალურ საკითხებზე.
- ინგლისური ენის ცოდნის ფლობის დონის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია საერთაშორისო სერტიფიკატი ან/და სხვა დოკუმენტი.

**დამატებითი, არასავალდებულო კრიტერიუმები:**

- სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება;
- მონაწილეობა საერთაშორისო ან/და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში;
- სამეცნიერო სტიპენდიები და გრანტები;
- სახელმძღვანელოს ავტორობა ან/და თანაავტორობა შესაბამის დარგში;

**კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

- განაცხადი კონკურსის მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი დარგის, აკადემიური თანამდებობისა და განსახორციელებელი პროგრამის ენის მითითებით (განაცხადი ივსება ადგილზე);
- ავტობიოგრაფია (CV) დეტალური ინფორმაციით კანდიდატის არა მარტო კვალიფიკაციისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ, არამედ ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების შესახებ (ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკვებლად მონაწილეთათვის ბოლო 3 წლის განმალობაში გამოქვეყნებული ნაშრომების შესახებ;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ელექტრონული ან ქაღალდის მატარებელზე);
- შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები (ელექტრონული ან ქაღალდის მატარებელზე) (შესაბამის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასისტენტისათვის ელექტრონული ან ქაღალდის მატარებელზე);
- 2 ფოტოსურათი, ზომით 3x4;
- კონკურსანტის მიერ შედგენილი შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების სილაბუსი (კონკურსანტის სურვილისამებრ);
- უცხო ენოვანი პროგრამის აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობისას ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია;

## კონკურსის ეტაპები:

**ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსში მონაწილეთათვის:**

- პირველი ეტაპი – კონკურსში მონაწილე კანდიდატთა დოკუმენტაციის შესწავლა წინამდებარე საკონკურსო განაცხადში წარმოდგენილი კრიტერიუმების მიხედვით;
- მეორე ეტაპი – პირველი ეტაპის წარმატებით გავლილ კანდიდატებთან გასაუბრება შესაბამის დარგში.

**ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსში მონაწილეთათვის:**

- პირველი ეტაპი – კონკურსში მონაწილე კანდიდატთა დოკუმენტაციის შესწავლა წინამდებარე საკონკურსო განაცხადში წარმოდგენილი კრიტერიუმების მიხედვით;
- მეორე ეტაპი – პირველი ეტაპის წარმატებით გავლილ კანდიდატებთან გასაუბრება ინგლისურ ენაში (შენიშვნა: ის კანდიდატები, რომლებიც ვერ შეძლებენ წარმოადგინონ უცხო ენის ცოდნის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო დონეზე აღიარებული სერტიფიკატი ან/და მასთან გათანაბრებული დოკუმენტი მეორე ეტაპზე დამატებით გაივლიან ტესტირებას);
- მესამე ეტაპი – მეორე ეტაპზე წარმატებით გავლილ კანდიდატებთან გასაუბრება შესაბამის დარგში.

**კონკურსის გამოცხადების თარიღი: 29 მარტი 2016 წელი**

**კონკურსის ვადები:**

აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთა საბუთების მიღება იწარმოებს 2016 წლის 3 მაისიდან 13 მაისის ჩათვლით.

ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსში მონაწილეთათვის კონკურსის ჩატარების ეტაპები:

– კონკურსის პირველი ეტაპი – 2016 წლის 16 – 17 მაისი;
– კონკურსის მეორე ეტაპი – 2016 წლის 23 – 25 მაისი.
კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება 2016 წლის 31 მაისს.

ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსში მონაწილეთათვის კონკურსის ჩატარების ეტაპები:

– კონკურსის პირველი ეტაპი – 2016 წლის 18 – 19 მაისი;
– კონკურსის მეორე ეტაპი – 2016 წლის 27 – 30 მაისი (შენიშვნა: ტესტირების ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში ტესტირება ჩატარდება 31 მაისს)
– კონკურსის მესამე ეტაპი – 2016 წლის 6 – 7 ივნისს
კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2016 წლის 9 ივნისს

**საკონტაქტო ინფორმაცია კონკურსანტებისათვის:**
**კონკურსანტთა განაცხადების მიღება იწარმოებს ქაღალდის მატარებელზე, საკონკურსო კომისიის სამდივნოში შემდეგ მისამართზე:**

**საქართველო, თბილისი,**
**ძველი თბილისის რაიონი,**
**ვეკუას ქ. №3**
**10:00–18:00 საათამდე**
**საკონტაქტო პირები:**
**მარიამ სეფაშვილი — 551 07 23 36**
**ფატიმა ჭოველიძე — 599 10 45 99**
tbilisisuniversi@gmail.com

# სერგეი შამბა: „რეფერენდუმი ხალხის კონსტიტუციური უფლებაა“

## „მართვაში სხვადასხვა პოლიტიკური პარტია უნდა ჩაერთოს“

მარიამ მჭედლიშვილი

**აფხაზეთში დაძაბულობა გრძელდება. დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბასა და სხვა მაღალჩინოსნების წინააღმდეგ გახშირდა საპროტესტო გამოსვლები. მთავარ იმედს ოპონენტები რეფერენდუმზე ამყარებენ.**

აფხაზეთის ცესკოში შესულია ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების თემაზე რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნა. „ახალი თაობა“ უკვე წერდა იმის შესახებ, რომ ხაჯიმბას მოსკოვი შემოსწყრა. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ რუსეთის მარიონეტად მიჩნეულმა პრეზიდენტმა ბოლომდე არ შეასრულა მითითება თურქეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გაწყვეტის თაობაზე და ვერ შეელია ამ სფეროში არსებულ არალეგალურ შემოსავლებს.

აფხაზეთის ლეგიტიმურ სტრუქტურებში აცხადებენ, რომ ხაჯიმბას ყველაზე სავარაუდო შემცვლელი სერგეი შამბაა, რომელიც დაახლოებულია რუსეთის გავლენიან მოხელესთან, თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუსთან.

როგორც ჩანს, ეს ინფორმაცია არ არის საფუძველს მოკლებული. ამაზე მიანიშნებს აფხაზური მედიის შეხვედრა სერგეი შამბასთან, რომლის დროსაც მას ბევრი შეკითხვა დაუსვეს პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროებიდან.

სერგეი შამბა პარტია „ედინაია აფხაზიას“ თავმჯდომარეა. „ედინაია აფხაზია“ რამდენიმე ორგანიზაციასთან ერთად შედის გაერთიანებაში „ეროვნული ერთიანობის საბჭო“.

– ადრეც გვითქვამს, რომ არც პროსახელისუფლებო პარტია ვართ და არც – ოპოზიციური. ჩვენ ბოლომდე დავიცავთ საზოგადოების ინტერესებს. თუ ხელისუფლება სწორ ნაბიჯებს გადადგამს, მხარს დავუჭერთ, თუ შეცდომას დაუშვებს, გავაკრიტიკებთ, – აღნიშნავს სერგეი შამბა.

ის საუბრობს აფხაზეთის საზოგადოების გაერთიანების აუცილებლობაზე:

– ვლადისლავ არძინბას გარდაცვალების შემდეგ ჩვენი საზოგადოების შეკავშირება ვერ მოახერხა ვერც ერთმა ლიდერმა. ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადადგა სერგეი ბაღაფშმა, მაგრამ საზოგადოება ახლაც გახლეჩილია. როგორ უნდა მოხდეს საზოგადოების გაერთიანება?

ჩემი შემოთავაზება იყო ქვეყნის მართვაში სხვადასხვა პოლიტიკური ძალის ჩართვა, რათა ყველამ იგრძნოს, რომ სჭირდება საზოგადოებას და სახელმწიფოს. ჩვენს პატარა აფხაზურ საზოგადოებაში ყოველთვის პრევალირებს კოლექტივიზმი და როცა ჩვენ ვიწყებთ დაყოფას ჩვენიანებად და უცხოებად, ჩნდება პრობლემები, – განაცხადა შამბამ.

აფხაზეთში დიდი ხანია, დავას იწვევს უძრავი ქონების უცხოელებზე გასხვისების საკითხი. ამის თაობაზე კანონი ჯერ არ მიუღიათ. სერგეი შამბა გამოთქვამს მოსაზრებას უცხოელებისათვის საცხოვრებლის მიყიდვაზე:

– ამ საკითხს განვიხილავ საბაზრო ეკონომიკის შემადგენელ ერთ-ერთ კომპონენტად. აქ მთავარია, არსებობდეს დამცავი მექანიზმი. საცხოვრებლის გაყიდვა არ უნდა იყოს დაკავშირებული აფხაზეთის მოქალაქეობის გაცემასთან.

საკამათოა ასევე დამატებული ღირებულების გადასახადის შემოღება. სარწმუნო წყაროების ინფორმაციით, ამ გზით მიღებული შემოსავლების დიდი წილი პირველი პირების ჯიბეებში მიდის. სერგეი შამბას თქმით, დღგ უნდა არსებობდეს, მაგრამ ამასთან დაკავშირებული კანონი ნაჩქარევად იქნა მიღებული და ის პრობლემებს ქმნის.



უჭერს თუ არა მხარს რეფერენდუმს?

ამაზე შამბა აცხადებს:

– ჩვენ არ გამოგვიხატავს აზრი რეფერენდუმზე, იმიტომ, რომ მის წინააღმდეგ გამოსვლა მიზანშეუწონელია. ეს ადამიანების კონსტიტუციური უფლებაა. თავად პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მხარს დაუჭერს ადამიანების კონსტიტუციურ უფლებას რეფერენდუმის თაობაზე.

# რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია „ნამდვილი პროდუქტები“ ბრალდებებს აბსურდულს უწოდებს



რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია „ნამდვილი პროდუქტები“ ბრალდებებს აბსურდულს უწოდებს რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია „ნამდვილი პროდუქტების“ მფლობელი კონსტანტინე შარვაშიძე მისთვის წაყენებულ ბრალდებებს აბსურდულს უწოდებს.

როგორც კონსტანტინე შარვაშიძის ძმის, თეიმურაზ შარვაშიძის მიერ გავრცელებულ მიმართვაშია ნათქვამი, საგამოძიებო ორგანო ბიზნესმენებზე ზეწოლას ახორციელებს და რძის პროდუქტების კოპანიისთვის წაყენებული ბრალდებებიც სწორედ ამას უკავშირდება.

– დაიწყო შემოტევა ჩემს ძმაზე, კონსტანტინე შარვაშიძეზე. რამდენიმე დღის წინ ფინანსურმა პოლიციამ „შეამოწმა“ შპს „ნამდვილი პროდუქტები“ და ბრალი წაუყენა მას, ვითომ ფალსიფიკაციის აბსურდულ საქმეზე – „კარაქში სპრედი გაურიესო“. თვითონაც ვერ გარკვეულან, რას ედავებიან, მაგრამ უნდათ პრობლემებში გაგვხვიონ, – ნათქვამია განცხადებაში.

თემურაზ და კონსტანტინე შარვაშიძეები პრემიერ-მინისტრს და ბიზნეს ომბუდსმენს მიმართავენ.

როგორც მიმართვაშია ნათქვამი, შარვაშიძეები საქართველოში რამდენიმე ბიზნესს ფლობენ, მათ შორის, შპს „ნამდვილი პროდუქტები“, შპს „ივერია აგრო“, შპს „ბიისი-2 ს“, შპს „გეგი“, ს/ს „ივერია 21“.

ბიზნესმენები მათზე ზეწოლის განხორციელებას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს და მის ხელმძღვანელს, გიორგი ბადაშვილს უკავშირებენ და აღნიშნავენ, რომ ბადაშვილის პროკურორობის დროს მათი ოჯახის წევრები დაკითხვაზე დაჰყავდათ და სრულ ფსიქოლოგიურ ტერორში ჰყავდათ.

– რამდენიმე წელიწადია ჩემი და ჩემი ძმის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი მიითვისა თავდაცვის სამინისტრომ, ვერ ვახერხებთ კერძო საკუთრების განკარგვას, ვიღებთ ძალიან დიდ მატერიალურ ზარალს. რამდენიმე წელიწადია გრძელდება სასამართლო დავა. არც კომპენსაციას გვიხდიან, არც მიწის მონაცვლეობას გვიკეთებენ.

რამდენიმე წელიწადია აბუჩად აგდების მეთოდებით ხდება ჩვენთან ურთიერთობა და უფრო მეტიც, წამოწყებულია ფარული პროცესი ჩვენი ოჯახების წინააღმდეგ ირიბი მეთოდებით ისეთი სახელმწიფო უწყებებით, როგორიცაა პროკურატურა და ფინანსური პოლიცია.

მოგახსენებთ კიდევ ერთ საქმეზე – ჩვენს საკუთრებაში არსებულმა კომპანია „ივერია მორსმა“ გამართა 100 მილიონიანი პარკინგების სისტემების პროექტის პრეზენტაცია დედაქალაქში და წლის ბოლომდე ვაპირებდით პროექტის განხორციელებას, რასაც მოჰყვა დიდი უკმაყოფილება ხელისუფლებაში მოკალათებული პირების მიერ და დღეს განხორციელებული შეტევა არის ზუსტად კავშირში, – ნათქვამია მიმართვაში.

ბიზნესმენები აგვისტოში, დიდუბეში გაჩენილ ხანძარსაც იხსენებენ და აცხადებენ, რომ 2015 წლის 4 აგვისტოს, დიდუბეში ს/ს „ივერია–XXI“-ის კუთვნილ საწყობის ტერიტორიაზე ხანძარი გაურკვეველი მიზეზების გამო გაჩნდა. ბიზნესმენები მომხდარს გაფრთხილებად აღიქვამენ.

– მიუხედავად იმისა, რომ გაგვინადგურდა ქონება, 4 აგვისტოს შემდეგ იმასაც ვერ მივაღწიეთ, რომ ხანძრის ნარჩენებისგან გავათავისუფლოთ ტერიტორია და დავიწყოთ მშენებლობა. ახლაც განვიცდით ზარალს. ამ მიზნით მივმართეთ პროკურორს, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია და ამ მხრივაც სიტუაცია გაურკვეველია.

რადგანაც ხანძარი გაჩნდა, ს/ს „ივერია 21“ ის საწყობიდან, ამიტომ დაზარალებული კომპანიების სახელით მივმართავდით სამართალდამცავ ორგანოებს, რომ გამოეკვლიათ სინამდვილე და მიგვეღო კომპენსაცია. ამის შემდეგ დაიწყო აქტიური შემოტევა პროკურატურის მხრიდან ჩემზე, ჩემი ოჯახის წევრებსა და ჩემს ძმაზე – კონსტანტინე შარვაშიძეზე.

უმორჩილესად გთხოვთ, დროულად აღმოგვიჩინოთ დახმარება და დაგვიცვათ სახელმწიფო სტრუქტურებში მოკალათებული კრიმინალი თანამდებობის პირებისგან, რადგან არ ვიცით კიდევ რას აპირებენ.

ასევე გთხოვთ ამ საკითხის განხილვა არ დაევალოს ისევ იმ პირებს, რომლებიც ჩვენი დიდი ეჭვით, ამ საქმის მონაწილეები არიან. დღეს დილიდან ჩვენი ერთ-ერთი კომპანია და კონსტანტინე შარვაშიძე მოექცა ფინანსური პოლიციის ზეწოლის ქვეშ, რაც გამოიხატება მედიაში გასული სიუჟეტით, თითქოსდა ჩვენ ვახდენთ რძის პროდუქტების ფალსიფიკაციას.

ასევე დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმცია, რითაც საქართველოს უზენაესი კანონი – საქართველოს კონსტიტუცია იქნა ფეხქვეშ გათელილი. მოვითხოვთ, სასაწრაფოდ მოხდეს მოცემულ საქმეზე რეაგირება და დამნაშავე პირების კანონის მთელი სიმკაცრით დასჯა, – ნათქვამია მიმართვაში, რომელსაც თეიმურაზ შარვაშიძე და მისი ადვოკატი, გიორგი ქიშმარია ავრცელებენ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, ფალსიფიკაციის ფაქტზე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში რამდენიმე რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანიის თანამშრომლები მისცა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, პასუხისგებაში მისცეს რძის პროდუქტების მწარმოებელი და რეალიზატორი საწარმოების – შპს „ნამდვილი პროდუქტების“, შპს „ამირანი XXI“-ს და შპს „ჯი ეს ენ“-ის ხელმძღვანელები და თანამშრომლები თევდორე გარიშვილი, კონსტანტინე შარვაშიძე, ნინო გიორგაძე, ნინო ბერაია, სერგო ჩარგეიშვილი და ავთანდილ გაგუა.

მათივე ინფორმაციით, გამოძიებით დადგენილია, რომ აღნიშნულ საწარმოთა ხელმძღვანელ პირებებს, ელექტრონულ ტენდერში გამარჯვების საფუძველზე ჰქონდათ ვალდებულება, ქალაქ რუსთავში მოემარაგებინათ საბავშვო ბაგა-ბაღები რძის ნაწარმით.

ბრალდებულები, შემოსავლის გაზრდისა და დანახარჯის შემცირების მიზნით, რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დარღვევით, იაფფასიანი მინარევების გამოყენებით აწარმოებდნენ ფალსიფიცირებულ კარაქს და უწევდნენ რეალიზაციას საბავშვო ბაგა-ბაღებში. გარდა ამისა, სხვადასხვა სპრედების ერთმანეთში გადარევის გზით, ბრალდებულები იღებდნენ უხარისხო პროდუქციას, აფასოებდნენ როგორც ნამდვილ ნაღებ კარაქს და ამარაგებდნენ რუსთავის ათეულობით საბავშვო ბაგა-ბაღს.

საგამოძიებო სამსახურის მიერ, არაერთი საბავშვო ბაღიდან და ხსენებული საწარმოებიდან ამოღებულია ფალსიფიცირებული პროდუქცია, რაზედაც ჩატარდა ექსპერტიზა და კარაქში ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, რძის ცხიმის შემცველობა აღმოჩნდა მცირე და იგი ნაწარმოები იყო სხვა იაფფასიანი მცენარეული ცხიმებისაგან.

საქმეზე მიმდიანარეობს გამოძიება საქართველოს სსკ-ის 197-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 დან 3 წლამდე.

**ინტერპრესნიუსი**

# სუროგატი დედის მიერ გაჩენილი ახალშობილის მშობლებად წყვილის რეგისტრაცია შეუფერხებლად მოხდება

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დააკმაყოფილა ცოლ-ქმრის სასარჩელო განცხადება, მოპასუხე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურისა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ.

მხარეთა შორის დავის საგანს, იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობა წარმოადგენდა, რომლის საფუძველზეც ისრაელის მოქალაქე ცოლ-ქმარს ხელოვნური განაყოფიერების გზით, სუროგატი დედის მიერ გაჩენილი ახალშობილის დაბადების მოწმობის აქტში მშობლებად დაფიქსირებაზე უარი ეთქვათ, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურსა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში წარდგენილი მონაცემების მიხედვით.

სასარჩელო განცხადებით წყვილმა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ინფორმაციით, საქმის მასალების თანახმად, რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფმა, შვილის ყოლის მსურველმა წყვილმა 2014 წლის 1 აგვისტოს, კვერცხუჯრედის დონორთან გააფორმა შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც მოგვიანებით, ბავშვის ექსტრაკორპორული განაყოფიერების გზით დაბადების შემდგომ მოწონებული იქნა სანოტარო წესით და დადასტურებული სამმხრივი შეთანხმებით.

– თუმცა 2014 წლის ოქტომბერში, ამავე წყვილმა ხელშეკრულება გააფორმა სუროგატ დედასთან ემბრიონის საშვილოსნოში გადატანისა და გამოზრდის მომსახურების შესახებ, რომელიც სანოტარო წესით დამოწმდა და რეგისტრაციისას წარდგენილ იქნა მარეგისტრირებელ ორგანოში.




მოპასუხე მხარემ განმცხადებლების მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არასრულყოფილად მიიჩნია და ბავშვის დაბადების აქტში მშობლებად რეგისტრაციაზე წყვილს უარი უთხრა, იმ მიზეზით, რომ თავდაპირველი ხელშეკრულება, რომელიც გაფორმდა წყვილსა და დონორს შორის, არ იყო ნოტარიულად დამოწმებული.სასამართლომ, საქმეში არსებული მასალებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლო დაეყრდნო საქართველოს კონსტიტუციას, რომელიც იცავს დედათა და ბავშვთა უფლებებს და ავალდებულებს სახელმწიფოს ხელი შეუწყოს ოჯახის კეთილდღეობას.

სასამართლომ ასევე გაიზიარა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, ბავშვის უფლებების კონვენციის მე-8 მუხლით დაცული ოჯახური ცხოვრება, ასევე მოიცავს ფორმალურ-იურიდიულად ჯერ კიდევ არ აღიარებულ მშობლისა და შვილის კავშირს და აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ვალდებულებაა პატივი სცეს თითოეული ბავშვის უფლებას და უზრუნველყოს მათი დაცვა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სარეგისტრაციო ორგანოში წარდგენილი დოკუმენტაცია საკმარისი იყო დაბადების აქტის რეგისტრაციისათვის, ვინაიდან შესაბამისი კანონმდებლობით გაწერილ საბუთთა ნუსხა ალტერნატიული შინაარსისაა და არ ავალდებულებს მხარეებს ჩამოთვლილი დოკუმენტების კუმულატიურად წარდგენას. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ თუკი არსებობს წყვილის წერილობითი თანხმობა და სუროგაციის გზით დაბადებულ ბავშვთან მათი აშკარა, არა საეჭვო კავშირი, დაბადებული ბავშვის სარეგისტრაციო ჩანაწერში მშობლებად მათი დარეგისტრირების უფლება უპირობოა.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ, – ნათქვამია თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

2016, 29 მარტი, №74

# ტრამპი: „მოქალაქეს იარაღის ტარების უფლება უნდა ჰქონდეს“

აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატი დონალდ ტრამპი თვლის, რომ ამერიკის ყველა მოქალაქეს იარაღის ტარების უფლება უნდა ჰქონდეს.

– ეს ჩვენი თავისუფლების აუცილებელი ატრიბუტია, – თქვა ტრამპმა.

ამ წინადადებას მხარი დაუჭირა ტრამპის კონკურენტმა რესპუბლიკური პარტიიდან ტედ კრუზმაც.

ამავე დროს, ინტერნეტში გავრცელდა პეტიცია, რომლის ავტორებიც იარაღის ტარების უფლების გაუქმებას მოითხოვენ. მას ხელი უკვე 30.000-მა ადამიანმა მოაწერა.



# ანტიდასავლური მიტინგი ბელგრადში

სერბეთში ანტიდასავლური აქცია ჩატარდა. მანიფესტანტებს მოჰქონდათ ვლადიმერ პუტინის პორტრეტი და ტრანსპარანტები.

მათზე ეწერა: არა ნატოს! ძირს ამერიკული იმპერიალიზმი! რუსეთი ჩვენ ძმაა და ა.შ.

სერბეთში საპარლამენტო არჩევნები კარსაა მომდგარი, პრორუსული ძალებიც მკვეთრად გააქტიურდნენ.




# ტერაქტი პაკისტანში



პაკისტანის ქალაქ ლაჰორში ტერორისტმა-კამიკაძემ აფეთქება მოაწყო. აქცია ავტოგასამართ სადგურთან ჩატარდა. შედეგად დაიღუპა 70-მდე ადამიანი, ბევრი დაშავდა.

აფეთქებაზე პასუხისმგებლობა მოძრაობა თალიბანმა აიღო.

თალიბანის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ აქცია ქრისტიანების წინააღმდეგ იყო მიმართული. ამიტომაც აფეთქება ქრისტიანებით დასახლებულ უბანში მოხდა.




# როტერდამში ტერორისტი დააკავეს

როტერდამში დააკავეს პიროვნება, რომელიც პარიზის ტერაქტის ორგანიზებაშია ეჭვმიტანილი.

გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე მისი ვინაობა ჯერჯერობით არ ხმაურდება.

ცნობილია მხოლოდ ის, რომ ეჭვმიტანილი საფრანგეთის მოქალაქეა.

# ჯონ ქერი: „რუსეთი ჩვენი მოკავშირე არ არის“

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ განაცხადა, რომ სირიის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში რუსეთი ამერიკის მოკავშირე არ არის.

ქერიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსკოვი ხელისუფლებაში ასადის დარჩენას ცდილობს, ეს კი დაუშვებელია.

– ასადი ისლამისტ ექსტრემისტებზე უკეთესი არაფრითაა! სანამ ის ხელისუფლებაში რჩება, მშვიდობა ვერ დამყარდება, – თქვა ქერიმ.

ამავე დროს აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კატეგორიულად უარყო მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოს სირიაში პუტინმა გაიმარჯვა.

– ეს ასე არ არის! – განაცხადა ქერიმ.



# ვერა სავჩენკო: „ჩემი და უკრაინაში დაბრუნდება“

ნადეჟდა სავჩენკოს დამ ვერამ ტელე-კომპანია „ინტერის“ ეთერში განაცხადა, რომ მისი და უკრაინაში დაბრუნდება და აქტიურ პოლიტიკაში ჩაებმება.

– მიუხედავად იმისა, რომ ნადეჟდა რუსულ საპყრობილეშია, იურიდიულად ის უკრაინის პარლამენტის დეპუტატია, – თქვა ვერამ და დაამატა, რომ მისი უფროსი და ყურადღებით ეცნობა ყველა კანონპროექტს, რომელთაც უკრაინის პარლამენტი განიხილავს, გააჩნია კონტაქტები უკრაინის მოქალაქეებთან და ა.შ.

– მიუხედავად პატიმრობისა, ის უკვე ფუნქციონირებს როგორც დეპუტატი, – ამბობს ვერა.

სავჩენკო-უმცროსის განცხადებით, მისი და პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ სანატორიუმებში დასვენებას არ გეგმავს. ის უკრაინულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაებმება, რაც ბრძოლაში ჩაბმას ნიშნავს.

– ჩემი და იბრძოდა მაიდანზე, იბრძოდა დონბასში, ფარ-ხმალს არც პატიმრობაში ყრიდა. მომავალშიც მის გეგმებში მხოლოდ სამშობლოსათვის ბრძოლაა, – თქვა ვერამ.



*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## შვედეთის, საქართველოს და ევროპარლამენტს გაეროს, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, ადამიანის უფლებათა დაცვის სტრუქტურებს ალფრედ ნობელის სახელობის ფონდის ადმინისტრაციას

# მსოფლიოს საზოგადოებას

კაცობრიობის წინაშე არსებული პრობლემების გადასაწყვეტად მეტად მნიშვნელოვანია ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება ტექნიკური პროგრესის პირობებში. აღნიშნული საკითხები გადაწყვეტას ითვალისწინებს სამეცნიერო ნაშრომი წიგნი სიახლეების დანერგვა წარმოების სრულყოფისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად – ავტორი ლ. ჩაჩიბაია.

პრობლემატიკა ითვალისწინებს ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიების დანერგვას მედიცინაში სიმსივნური და სხვა რთული დაავადებების სამკურნალოდ, კვების პროდუქტებით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. თერმული გადამუშავების გარეშე საკვები და სამკურნალო საშუალებების გამოყენება უშუალოდ ადამიანის ჯანმრთელობას განაპირობებს. მეტად მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მისაღებად მრეწველობასთან შეთანაწყობით, ასევე მნიშვნელოვანია ცალკეულ რეგიონებში ეკონომიკის განვითარებისა და სახელმწიფოს მართვის კონცეფციის საკითხები, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა განაპირობებს ენერგორესურსების შემცირებას, საკვები და სამკურნალო საშუალებების წარმოება-გადამუშავება, შენახვა-გამოყენების პირობებში. რაც გლობალიზაციის საკითხების სრულყოფას უკავშირდება. აღნიშნული საკითხები დამუშავებულია 25 გამოგონების, 2 აღმოჩენის, 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის და 2 მონოგრაფიის გამოყენებით, რომლის დანერგვას რეკომენდაცია მისცა მთავრობამ, პარლამენტის ოთხმა კომიტეტმა, შესაბამისმა სამინისტროებმა, სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტებმა, უნივერსიტეტებმა, მეცნიერებათა აკადემიამ, საზღვარგარეთის შესაბამისმა უწყებებმა. სამწუხაროა საკონკურსო დებულების შესაბამისად როდესაც ნაშრომს არ ეძლევა შეფასება ექსპერტიზის დასკვნა. ფონდში ვერ გამოიკვეთა მორალური და სამართლებრივი დამოკიდებულება, რადგან დაუშვებელია ინტელექტუალურ შემოქმედებაში შეზღუდვების დაწესება, როგორც განვაცხადე სიახლეები დასანერგად არ გადაეცემა სერიულად, ასევე აიკრძალება პროდუქციის ექსპორტირება.

შვედეთის კონსტიტუციით არ იკრძალება ინფორმაციის მოწოდება, მოთხოვნა მოთხოვნად რჩება, რომ 10 წლის მაჩვენებლების მიხედვით ჩატარდეს ექსპერტიზა 1. მედიცინაში; 2. ბიოლოგია, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა; 3. ეკონომიკა, რეგიონალური მართვის საკითხებში (კონცეფცია). კონკურსის ჩატარების მოთხოვნებში დევს ნაშრომის შეფასება, რაც დღემდე შეუფასებლად ითვლება, მაშინ, როდესაც საკითხი შეეხება კაცობრიობის წინაშე საუკუნის პრობლემების კომპლექსურად გადაწყვეტის ახალ მიმართულებებს დარგთა შეთანაწყობით.

ფონდის ადმინისტრაციის თანამშრომელს, ექსპერტს თვითონ რომ დაემზადებინა საცდელი ნიმუში და გამოეცადა, ასევე თავისი წამლით რომ განეკურნა ავადმყოფი და ა.შ. მაშინ მათ არ მოუწევდათ შეხსენება ექსპერტიზის დასკვნის მოცემაზე. როგორც ჩვენი, ასევე საზღვარგარეთის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ დამუშავებული პრობლემატიკა მეტად აქტუალურია, მას ალტერნატივა არ გააჩნია. ნობელის ინსტიტუტი, 26/11/2012 წელს, №38679/46 წერილით აღნიშნავს, რომ ნაშრომზე შენიშვნა არ გააჩნიათ და მადლობელნი არიან, მეტი რა უნდა მოვთხოვოთ ნაშრომს, მწვადის შეწვა და იმღეროს შვედურად? მსოფლიოს საზოგადოებას ვთხოვ, რომ თქვენი სახელით დავიცვა ჩემი უფლებები, მიზანშეწონილად მიმაჩნია, მხარესთან მონაწილეობით აღნიშნული საკითხი გადაიცეს ღია ეთერით, რომ სამუდამოდ განხილვა იყოს გამჭვირვალე ყველასათვის.

ტექნიკის, ტექნოლოგიის, ეკონომიკის, სამართლის საექსპერტო საბჭომ 9/03/2016 წელს №1/3 დამატებით განიხილა საკითხი და ნაშრომს მისცა რეკომენდაცია ალფრედ ნობელის სახელობის პრემიის მინიჭების შესახებ.

გთხოვთ, დასმული საკითხების გათვალისწინებით განიხილოთ დანართი ექსპრესბიულეტინი №56 და მიღებულ გადაწყვეტილებაზე გვაცნობეთ შემჭიდროებულ ვადებში.

პატივისცემით აკადემიკოსი ლ. ჩაჩიბაია
FACEBOOK: LERI_CHACHIBAIA georgia inovacia.com;
E-MAIL: leri_chachibaia@mail.ru
მობ: 558-66-03-51

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

**ცნობილი სექსოლოგი გიორგი გოგბაიძე სრულად განკურნავს პროსტატიტსა და სექსუალურ სისუსტეს. ტელ: 599-25-50-50.**

# განცხადებები

## იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

## მკურნალობა

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემორიო) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# რაგბის მატჩის დროს მსაჯი დაჭრეს



ცუდი ფაქტი დაფიქსირდა ფოთში საქართველოს რაგბის ჩემპიონატის მატჩის დასრულების შემდეგ ბათუმსა და არმიას შორის.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ დაჭრეს მსაჯი, 21 წლის ნიკა ამაშუკელი, რომელიც ფოთის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ნიკა ამაშუკელს სიცოცხლისთვის საშიში დაზიანება არ აღმოაჩნდა.

როგორც საქართველოს სჩვევია, თვითმხილველი არ არსებობს. ამ ეტაპზე არც თავად დაზარალებულს უთქვამს არაფერი. ფაქტს ადასტურებენ რაგბის კავშირში და აცხადებენ, რომ უკვე დაიკითხნენ ინციდენტის მონაწილეებიც. სხვა დეტალებზე კი არ საუბრობენ.

გავრცელებული ხმებით, თბილისური გუნდის მენეჯერი ჯერ ბათუმის გუნდის წარმომადგენლებს დაუპირისპირდა, შემდეგ კი მსაჯს გაუსწორდა ფიზიკურად.

ნიკა ამაშუკელი ფოთის სტადიონზე ბათუმსა და თბილისის არმიას შორის შეხვედრას მსაჯობდა. მატჩი ფრედ 21:21 დასრულდა.

გეტყვით, რომ ნიკა ამაშუკელი რაგბის კავშირის მიერ გასული წლის საუკეთესო მსაჯად იქნა დასახელებული.

# ქართველმა ძიუდოისტებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს



თბილისის სპორტის ახალი სასახლე 3 დღე მასპინძლობდა ძიუდოს გრან პრის გათამაშებას, რომელიც საქართველოს ნაკრებისთვის წარმატებული გამოდგა.

ირაკლი უზნაძის გუნდმა გრან პრიზე გამოსვლა 2 ოქროს, 1 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედლით დაასრულა და ვაჟთა შორის საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა.

პირველი საშეჯიბრო დღეს ჩემპიონი ვაჟა მარგველაშვილი (66 კგ) გახდა, ვინც გადამწყვეტი ორთაბრძოლა იტალიელ ფაბიო ბასილეს ვაზარით მოუგო, გრან პრის გამარჯვებულისთვის განკუთვნილი 300 სარეიტინგო ქულა მიითვალა და რიოს ოლიმპიადის საგზური პრაქტიკულად გაინაღდა.

მარგველაშვილი გრან პრის გამარჯვებული პირველად გახდა.

მეორე ოქრო საქართველოს ნუგზარ ტატალაშვილმა (73) მოუტანა. მან მონღოლი ოდბაიარ განბაატარი შეხვედრის ბოლოს გატეხა და ჯერ ვაზარი აუღო, მერე კი ბოჭვაზეც დაიჭირა.

ამავე წონაში ლაშა შავდათუაშვილმა ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრა ბრაზილიელ მარსელო კონტინისთან გამართა და ულამაზესი გდებით დააიპონა. ბრინჯაოს მედლისთვის იჭიდავა ფრიდონ გიგანმაც და ბერძენ გეორგიოს აზოიდისს ბოლო წამებზე აღებული ვაზარით აჯობა.

ბრინჯაო ირგუნა კიდევ ორმა ქართველმა: ამირან პაპინაშვილმა (60 კგ) ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრაში თურქეთის სახელით მოჭიდავე ბეთქილ შუკვანს, იგივე ბექირ ოზლუს ვაზარით მოუგო.

მარიამ ჯანაშვილმა (52 კგ) ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრა სამხრეთ კორეელ კიმ მი-რისთან გამართა და ვაზარით წააგო.

ყველაზე პრობლემატურ, 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოლიმპიადისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა ბექა ღვინიაშვილმა, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა. არადა, ოქროც არ იყო შორს.

ვერცხლი ერგო ლევან გუგავას (81), რომელიც ფინალში რუს ალან ხუბეცოვთან თავის დაწყებულ ილეთზე წამოეგო და იპონით წააგო.

სხვა ქართველ ძიუდოისტებს სახეირო არაფერი გაუკეთებიათ. არადა, ყველა წონაში 4-4 ძიუდოისტი გვყავდა, პლუს 4 გოგონა.

# ვითას ისტორიული გამარჯვება

**ვითა – ცმოკი 81:80**

(16:19, 23:18, 19:25, 23:18)



თბილისის საკალათბურთო კლუბმა ვითამ ვითიბი ლიგის მიმდინარე რეგულარულ ჩემპიონატში ისტორიული გამარჯვება იზეიმა. ქართულმა კლუბმა თბილისის სპორტის ახალ სასახლეში ბელარუსის ცმოკი-მინსკი ერთი ქულის სხვაობით – 81:80 დაამარცხა.

ეს არის ვითელთა პირველი მოგება ვითიბი ლიგაზე.

არადა, 2 წუთით ადრე ბელარუსები 9 ქულით იგებდნენ და პირველი მოგების სიტკბო ჯერაც შორეულ პერსპექტივად ჩანდა. თუმცა, ვითამ ბოლომდე იბრძოლა და ბექა წივწივაძემ ბოლო წამზე მომგებიანი 2 ქულა შესძინა გუნდს.

მასპინძლებმა თავიდანვე დაანახეს მეტოქეს, რომ იოლ მოგებას თბილისიდან არ გაატანდნენ. პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და ხელჩასაჭიდი უპირატესობის მოპოვება ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო. შესვენებაზე ვითა 2-ქულიანი უპირატესობით გავიდა.

მეორე ტაიმიც ასევე დაიწყო. მხოლოდ ბოლო მეოთხედის დასაწყისში გაიქცნენ სტუმრები 9 ქულით, მაგრამ ირაკლი ჩხაიძისა და დანიელ ბეჟარანოს ზუსტი თამაშით ქულამდე შემცირდა. სტუმრებმა იგივე უპირატესობა 2 წუთით ადრეც მოიპოვეს და თითქოს მატჩის ბედიც გადაწყვიტეს. ისევ ბეჟარონი და ჩლაიძე – 17 წამით ადრე ამერიკელი კალათბურთელი სამქულიანი სროლით სხვაობას მინიმუმამდე ამცირებს. ვითა სწრაფ ჯარიმას იღებს, საჯარიმო ხაზზე პაველ ულიანკო დადგა, რომელმაც ორივე სროლა გააცუდა, ბურთი წივწივაძემ მოხსნა და წამით ადრე მატჩის დასრულებამდე წინ გაიყვანა თავისიანები. დარჩენილ დროში კი ცმოკი უშანსოდ იყო.

მიუხედავად ჩლაიძე-ბეჟარანოს დუეტის კარგი თამაშისა, მატჩის გმირად მაინც წივწივაძე უნდა მივიჩნიოთ. ბელარუსებმა კი წაგება თავიანთ თავს უნდა დააბრალონ. ცმოკის კალათბურთელებმა 18 საჯარიმო სროლიდან 11 გააცუდეს, აქედან ბოლო 2 ფატალური გამოდგა.

# დავით ლორია: „საქართველოს ნაკრებთან მატჩი განსაკუთრებულია“

დღეს საქართველოს ნაკრები ყაზახეთს უმასპინძლებს და შესაძლოა, ორივე გუნდის კარში ლორია დადგეს. გიორგი ლორია ჩვენი გუნდის მეკარეა, ხოლო ქართული ფესვების მქონე დავით ლორია 5-წლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა ყაზახეთის ნაკრების კარს.

დავით ლორიას თბილისში ერთხელ უკვე აქვს ნათამაშები, როდესაც საქართველოს და ყაზახეთის ნაკრებები 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ერთად მოხვდნენ. მატჩი 2005 წლის 10 აგვისტოს გაიმართა და 0:0 დასრულდა.

დავით ლორიას ინტერვიუ ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა და საქართველოსთან გამარჯვებას ელის.

***– ნაკრებში 5 წლის შემდეგ დაბრუნდით. რა შეგრძნება გაქვთ და ამ ხნის განმავლობაში თუ შეიცვალა რამე?***

– პირველ ყოვლისა, ფეხბურთელები შეიცვალა. ძალიან ბევრია ახალი სახე, რომლებსაც ადრე ნაკრებში არ შევხვედრივარ, ახლა კი, ყაზახეთის ჩემპიონატში წამყვანები არიან. დაბრუნება ძალიან მახარებს და ყოველთვის ამისკენ მივისწრაფვოდი. ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩემი მიზანი ეროვნულ გუნდში თამაშია.

***– ეროვნულ გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო თამაში საქართველოს ნაკრებთან ჩაატარეთ. 2005 წელს, თბილისში გამართულ შეხვედრაში გიორგი დემეტრაძეს პენალტი აუღეთ.***

– ეს 11 წლის წინ იყო. მაშინ, საქართველოს ნაკრებში ბევრი „ვარსკვლავი“ თამაშობდა. ქართველებს ძლიერი გუნდი ჰყავდათ, ხოლო ჩვენ ევროპაში პირველი ქულის აღება გვსურდა. პენალტი ყოველთვის ლატარეაა და იმ მომენტში ბურთი მოვიგერიე. საბოლოო ჯამში, მატჩი 0:0 დასრულდა. ბოლო წუთზე გოლი კი გაგვიტანეს, მაგრამ თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაითვალა. ეს ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა. ემოციები? ჩემთვის ის განსაკუთრებულ მატჩად დარჩება. თბილისში საუცხოო სტადიონია, რომელიც უეფას სუპერთასისთვის კიდევ უფრო გალამაზდა. საქართველოს ნაკრებში დაინიშნა მწვრთნელი, რომელიც ყაზახურ ფეხბურთს მხოლოდ ყურმოკვრით არ იცნობს. ასე რომ, ახლაც ძალიან საინტერესო თამაში იქნება.

***– მართალია, რომ იმ მატჩის მერე თქვენი წაყვანა და გამასპინძლება სურდათ?***

– წაყვანა? არა, თამაშამდე იყო მომატებული ყურადღება. ქალაქში სეირნობის დროს, ხალხი გვაჩერებდა და ჩემზე კითხულობდა – ჩვენი ბიჭი სადაა? ცდილობდნენ, წავეყვანე და ღვინით გამმასპინძლებოდნენ. მე ვპასუხობდი, რომ არ ვსვამდი და მეორე დღეს თამაში მქონდა. მაშინ „პეპსი-კოლა“ დავლიოთო – არ მეშვებოდნენ. ვუხსნიდი, რომ არც „პეპსი-კოლას“ ვსვამდი. ეს ქართული „პეპსი-კოლაა“, რომელიც არასოდეს გაგისინჯავს – მპასუხობდნენ. ხალხი საკმაოდ კეთილგანწყობილი იყო.

***– თავისიანად მიგიღეს?***

– დიახ. ძალიან კეთილგანწყობილნი იყვნენ.



***– საქართველოს ნაკრების მეკარეს, რომელიც თქვენი მოგვარეა, თუ იცნობთ?***

– ნუკრი რევიშვილს ვიცნობ, გიორგი ლორიას – არა. ახლა გავიცნობ. საქართველოს ნაკრებში არიან ფეხბურთელები, რომლებსაც კარგად ვიცნობ. მაგალითად, მცველი ალექსანდრე ამისულაშვილი, რომელთან ერთად ნალჩიკის სპარტაკში ვთამაშობდი.

***– მომავალი შეხვედრის შესახებ მასთან ისაუბრეთ?***

– არა. ახლა ირტიშში ქართველი გოგიტა გოგუა გადავიდა და ამის შესახებ ვისაუბრეთ. ვიხუმრეთ, ერთმანეთი ცოტა გავაბრაზეთ.

***– საქართველოსთან მატჩებისგან რას ელით?***

– გულშემატკივრების მსგავსად, მეც, ფეხბურთელი, მხოლოდ გამარჯვებას ველოდები, მაგრამ ყველაფერი მოედანზე გადაწყდება. უნდა განვეწყოთ და გავიმარჯვოთ.

# ზაზა ფაჩულიას პლეი ოფში გასვლა სათუო გაუხდა

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები



ტეხასელებს დარჩენილ 9 მატჩში დიდი ძალისხმევა მოუწევთ, რომ სეზონი რეგულარულ ჩემპიონატთან ერთად არ დაასრულონ. დალასელებმა გუშინ დასავლეთ კონფერენციის ერთ-ერთ აუტსაიდერ საკრამენტოსთან სტუმრად წააგეს.

შეხვედრა უხვქულიანი გამოდგა. მასპინძლებმა 133:111 იმარჯვეს, რითაც დალასელებს წარმატების შანსი არ დაუტოვეს. ნაოპერაციევ ჩანდლერ პერსონსთან ერთად მავერიკსს ტრავმირებული დერონ უილიამსიც აკლდა, რომლის ადგილიც სასტარტო ხუთეულში ჯეი-ჯეი ბარეამ დაიკავა. რაც შეეხება ფაჩულიას, ქართველი ცენტრი სათადარიგო იყო და მოედანზე 14 წუთით გამოჩნდა, რის განმავლობაშიც 2 ქულა და 1 მოხსნა დააგროვა. სასტარტო ხუთეულში ცენტრის პოზიციაზე მოთამაშე სალაჰ მეჯრიმ მოედანზე 7 წუთი გაატარა და 2 ქულას, 2 მოხსნას და 1 პასს დასჯერდა.

35 მოგებითა და 38 წაგებით დალასი დასავლეთ კონფერენციაში მე-9 ადგილზეა. მომდევნო მატჩს ფაჩულიას გუნდი სტუმრად დენვერთან გამართავს.

გიორგი შერმადინის ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში ორმაგი დუბლი შეასრულა, თავის გუნდში საუკეთესო შედეგიც დააფიქსირა, თუმცა ანდორა მაინც დამარცხდა. ჯუჯა სახელმწიფოს გუნდმა, რომელიც ესპანეთის პრიმერა დივიზიონში ასპარეზობს, მადრიდის ფუენლაბრადას უმასპინძლა და 9 ქულით – 80:89 წააგო.

ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 22 წუთი გაატარა. შერმადინმა 9-დან 5 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 12 ქულა მოაგროვა და ამას 10 მოხსნა და 1 ჩაჭრა მოაყოლა.

11 მოგებითა და 14 მარცხით ანდორა მე-11 ადგილზეა და ბრძოლას საუკეთესო 8 გუნდში მოსახვედრად აგრძელებს. მომდევნო ტურში შერმადინის გუნდი სან სებასტიანში ლიგის აუტსაიდერ გიპუზკოა ბასკეტს დაუპირისპირდება.

ვიქტორ სანიკიძის თედ კოლეჯლერმა თურქეთის ჩემპიონატში ბუიუქჩეკმეჩეს უმასპინძლა და 67:76 დამარცხდა. ანკარელთა ქართველი ფორვარდი კოლეჯლერთაგან საუკეთესო იყო, მაგრამ მასპინძლები წაგებას ვერ აარიდა.

სანიკიძემ სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე 34 წუთი გაატარა. ქართველმა ფორვარდმა 9-დან 4 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო და 11 ქულას, 9 მოხსნა, 4 დაფარება, 2 პასი და 1 ჩაჭრა დაამატა.

8 მოგებით და 15 წაგებით თედ კოლეჯლერი 16-გუნდიან თურქულ ლიგაში მე-11 ადგილზე რჩება. მომდევნო მატჩი სანიკიძის გუნდს სტუმრად ქარშიაქასთან ელის.

პრინციპული შეხვედრა მოიგო მანუჩარ მარკოიშვილის გუნდმა. დარუშაფაკამ ბანვითს უმასპინძლა, რომელთანაც ცხრილის მე-4 ადგილისთვის და, შესაბამისად, პლეი ოფში მოედნის უპირატესობის მოსაპოვებლად იბრძვის. ქართველი ლეგიონერის გუნდმა 75:66 იმარჯვა და ბანვითს ქულებით გაუთანაბრდა. დარუშაფაკას მეტოქეზე 1 მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

მარკოიშვილმა მოედანზე 15 წუთი დაჰყო და შეხვედრა 3 ქულით დაასრულა. მანუჩარმა 1-დან 1 სამიანი ჩააგდო, 2 ორქულიანი კი ააცილა. მასპინძლებს 18 ქულით ამერიკელმა სკოტი ვილბეკინმა ულიდერა, ჩერნოგორიის ნაკრების წევრმა მილკო ბიელიცამ კი 12 ქულა ჩააგდო. ბანვითელებს ამერიკელი დომინიკ ჯონსონის 14 ქულა ვერაფერში წაადგა.

დარუშაფაკა თურქეთის ჩემპიონატში მომდევნო მატჩს სტუმრად ბუიუკჩეკმეჩესთან გამართავს.

გიორგი ცინცაძემ ფრანგულ რუანში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ქართველმა უკანახაზელმა 16 წუთში 10 ქულა მიითვალა, თუმცა მისი გუნდი მაინც დამარცხდა. საფრანგეთის ჩემპიონატში აუტსაიდერთა შორის მყოფმა რუნელებმა ამჯერად ორლეანში, ადგილობრივ გუნდთან – 65:78 წააგეს.

ცინცაძე სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა და მოედანზე მთლიანობაში 16 წუთით იმყოფებოდა. ქართველმა უკანახაზელმა 3-დან 3 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო.

5 მოგებითა და 20 წაგებით რუანი ბოლოსწინა ადგილზე იმყოფება და დარჩენილ 9 ტურში უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად დიდი ძალისხმევა მოუწევს. მორიგ ტურში ცინცაძეს თავის ყოფილ გუნდთან მოუწევს დაპირისპირება – რუანი იმ გრავლინს უმასპინძლებს, რომლის შემადგენლობაშიც მიმდინარე სეზონი დაიწყო.

## შედეგები

**27 მარტი**

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

ტაილანდი-ს.კორეა ........................ 0:1
რუმინეთი-ესპანეთი ....................... 0:0

**აფრიკის ერთა თასი**

კენია-გვინეა ......................... ბისაუ 0:1
მოზამბიკი-განა ........................... 0:0
ბოსტვანა-კომორი ......................... 2:1
კონგო-ზამბია ............................. 1:1
ბენინი-ს.სუდანი .......................... 4:1

ეჩ-2017. შესარჩევი ეტაპი ............ (21)
სან მარინო-შვედეთი ..................... 0:2

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალმერია-მალიორკა ........................ 1:1
ლიაგოსტერა-ალკორკონი ............. 4:0
ლუგო-ალბასეტე ............................ 2:1
მირანდესი-ვალიადოლიდი ............ 4:1
სარაგოსა-ხირონა .......................... 0:3

**უკრაინა. თასი**

შახტარი-ვორსკლა ........................ 1:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## ძაღლმა გეპარდის კნუტები იშვილა




აშშ-ში ცინცინატის ზოოპარკში ავსტრალიურმა ავჩარკამ საკუთარ თავზე აიღო გეპარდის ხუთი კნუტის დედობის ტვირთი. ამ ინფორმაციას ადგილობრივი მას მედია ავრცელებს.

მზრუნველმა ძაღლმა პატარა მტაცებლები გადაარჩინა, როდესაც მათი დედის მოვალეობის შესრულება იკისრა. დედა გეპარდი მშობიარობიდან ორ კვირაში დაიღუპა.

სხვათა შორის, ეს ძაღლის, სახელად ბლეიკლისთვის, სხვა ცხოველებზე ზრუნვის პირველი შემთხვევა როდია. მან ადრეც გაუწია დედობა გეპარდის ნაშიერს.

## ლონდონში შოკოლადისგან ბარი დაამზადეს

ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში დროებითი ბარი ააგეს შოკოლადისგან. ლუდს საჭმელად გამოსადეგ კათხებში ასხავენ.

ლონდონურ ბარს დაარქვეს „კარლსბერგი რომ შოკოლადის ფილებს უშვებდეს". მისი გახსნა დიდ ბრიტანეთში სააღდგომო არდადეგებს მიეძღვნა.

როგორც ფირმა კარსბერგში განაცხადეს, ბრიტანულ საზოგადოებას უყვარს ლუდი და შოკოლადი. კომპანიაში ასევე ამტკიცებენ, რომ ეს მსოფლიოში პირველი შოკოლადის ბარია.

ბარი მოქანდაკე პრუდენს სტეიტმა შექ-



მნა. მის აგებას სამი თვე და თითქმის ნახევარი ტონა შოკოლადი დასჭირდა. ბარი მთლიანად საკვებად გამოსადეგია.

სტეიტის სხვა ცნობილ პროექტებს შორისაა დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის ქანდაკება, რომელიც მოქანდაკემ მთლიანად პურისგან შექმნა.

## იტალიურ ქალაქში მეძავებს ჩაცმის სტილისთვის დააჯარიმებენ



იტალიური ქალაქის სალერნოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მეძავები სექსუალური ჩაცმის სტილისა და ფლირტისთვის დააჯარიმოს. ქალაქის ხელისუფლების მიერ დაწესებული ეტიკეტის ნორმების დარღვევისთვის მეძავებს 500 ევროთი დააჯარიმებენ.

ასეთი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ქალაქის ცენტრში სექს-ინდუსტრიის წარმომადგენელთა რაოდენობის მკვეთრ მატებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, დაფიქსირდა კლიენტებისთვის ქალაქის მოედანზე მომსახურების გაწევის შემთხვევები.

როგორც სალერნოს საბჭოს პრეს-მდივანმა განაცხადა, ჯარიმები ასევე წარმოადგენს მეძავების დაშინების საშუალებას.

ქალაქის ხელისუფლების წარმომადგენლებს იმედი აქვთ, რომ ნაკლებად გამომწვევად ჩაცმული ქალები პოტენციური კლიენტებისთვის ნაკლებად მიმზიდველები და ქალაქელებისა და ტურისტებისთვის ნაკლებად შესამჩნევები იქნებიან.

## კლინტონთან და კლუნისთან სადილი 350 ათასი დოლარი დაჯდება



აშშ-ს პრეზიდენტობის დემოკრატიული პარტიის კანდიდატ ჰილარი კლინტონთან და ჰოლივუდის მსახიობ ჯორჯ კლუნისთან სადილობის მსურველს 353,4 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს. სწორედ ამ თანხად შეფასდა ორი ადგილი მაგიდასთან, რომელსაც ყოფილი ექს-სახელმწიფო მდივანი და მსახიობი მიუსხდებიან.

წვეულება 15 აპრილს მეწარმე შერვინ პიშევარას სახლში გაიმართება, რომელიც სან-ფრანცისკოში მდებარეობს. კლუნისთან ერთად წვეულებას მისი მეუღლე ამალი კლუნიც დაესწრება.

16 აპრილს კიდევ ერთი სადილი გაიმართება კლინტონისა და კლუნების წყვილის მონაწილეობით. ის ლოს-ანჯელესში წყვილის ბინაში შედგება. კლუნის მაგიდასთან ადგილის ფასი 33,4 ათას დოლარს შეადგენს.

ორივე ღონისძიება კლინტონის არჩევნებში გამარჯვებისთვის შექმნილი ფონდისთვის თანხის შეგროვების ფარგლებში გაიმართება.

## პრინც ჰარისა და ბავშვის ფოტომ მასმედია დაიპყრო



დიდი ბრიტანეთის პრინცის, ჰარის ჩვილ ბავშვთან ერთად გადაღებულმა ფოტოსურათმა მასმედია დაიპყრო. სამეფო ოჯახის წარმომადგენელი ნეპალში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. მისი ამ ქვეყანაში მოგზაურობის მიმოხილვა კენსინგტონის სასახლის ინსტაგრამში იბეჭდება.

კერძოდ, პრინცი ეწვია სოფელ ლეორანის, სადაც ღამის გასათევად ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრების სახლში გაჩერდა. სწორედ იქ იქნა გადაღებული ფოტოსურათი, რომელზეც პრინცს ხელში პატარა ბავშვი უჭირავს.

როგორც ადგილობრივი მას მედია აღნიშნავს, პრინცის ნეპალში მოგზაურობის ამსახველი ფოტოსურათები აღმაფრთოვანებელი და უბრალოდ ლამაზებია.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

### სპორტი

## გიოტცეს იურგენ კლოპთან მუშაობა სურს



ბოლო პერიოდში სულ უფრო და უფრო ხშირად ისმის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მიუნხენის ბაიერნის ნახევარმცველი მარიო გიოტცე გუნდს დატოვებს.

გიოტცე წლევანდელ სეზონში იშვიათად არის ძირითად შემადგენლობაში და თავისი მდგომარეობა არ აკმაყოფილებს. არ არის გამორიცხული, მარიო ინგლისში, კერძოდ კი, ლივერპულში გადავიდეს სათამაშოდ, სადაც მისი ყოფილი მთავარი მწვრთნელი იურგენ კლოპი მუშაობს.

კლოპს დიდი სურვილი აქვს, გიოტცე თავის გუნდში იხილოს. ლივერპულს ეს ტრანსფერი საკმაოდ ძვირი დაუჯდება, რადგან მარიო გიოტცეს სატრანსფერო ფასი 40 მილიონ ევროს აღწევს.

ლივერპულის გარდა, გიოტცეს მიმართ ინტერესს მისი ყოფილი კლუბი დორტმუნდის ბორუსიაც იჩენს.

## პსჟ ენტონი მარსიალით დაინტერესდა



პარიზული პსჟ აქტიურად ეძებს ახალ თავდამსხმელს, რადგან სეზონის ბოლოს გუნდს სავარაუდოდ ორი ფორვარდი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ედისონ კავანი, დატოვებს. პარიზული გუნდის ახალი სამიზნე მანჩესტერ იუნაიტედის ახალგაზრდა თავდამსხმელი ენტონი მარსიალია, რომელსაც საფეხბურთო ექსპერტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

მარსიალი უკვე გახდა მანჩესტერ იუნაიტედის ერთ-ერთი ლიდერი და პსჟ-ს ინტერესი მის მიმართ ლოგიკურია.

გარდა მარსიალისა, პსჟ-ს ლივერპულის ფორვარდის, დანიელ სტარიჯის ყიდვაც სურს და მზად არის, ამ ტრანსფერში 45 მილიონი ევრო გადაიხადოს.

## საფრანგეთი — რუსეთი გაძლიერებული დაცვით ჩატარდება

დღეს, 29 მარტს საფრანგეთის ნაკრები საკუთარ მოედანზე რუსეთს მიიღებს. ეს იქნება საფრანგეთის პირველი შეხვედრა საკუთარ მოედანზე ნოემბერში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შემდეგ.

როგორც ცნობილია, ტერორისტები 13 ნოემბერს სტად დე ფრანსზე შეჭრას აპირებდნენ, მაგრამ მათ ეს არ გამოუვიდათ. ამის გამო რუსეთის წინააღმდეგ გასამართ შეხვედრაში უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები იქნება მიღებული. სტადიონს პოლიციის ყველაზე ელიტური დანაყოფი დაიცავს და გარშემო იქნებიან სნაიპერები, რომლებიც პერიმეტრს გააკონტროლებენ.

შეგახსენებთ, რომ ევრო 2016 სწორედ საფრანგეთში ჩატარდება.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ასტროპროგნოზი
### 29 მარტისათვის



**ვერძი** — ერიდეთ კონფლიქტსა და საქმის გარჩევებს. დღეს რისკი გამართლებული არ არის. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. **კურო** — კარგი დღეა კომერციული საქმიანობისა და ბიზნესკონტაქტებისათვის. თქვენი აქტიურობა ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს. **ტყუპები** — კარგი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად, ფიზიკური დატვირთვისათვის. ერიდეთ კამათს მეგობრებთან. საღამო ბუნების წიაღში გაატარეთ. **კირჩხიბი** — მეტი დრო დაუთმეთ ბავშვებთან ურთიერთობას. კარგი იქნება, თუ გარემოს შეიცვლით, მოინახულებთ მეგობრებს. **ლომი** — ჰარმონიული დღეა, შესაფერისი პერიოდი აქტიური და შინაარსიანი დასვენებისათვის. ნებისმიერ საქმეს დღეს თავს იოლად გაართმევთ. მზად იყავით რომანტიკული თავგადასავლებისა და სასიყვარულო ურთიერთობებისთვის. **ქალწული** — რთული დღეა, შესაძლოა, გარკვეულ კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. **სასწორი** — გაგიმახვილდებათ ინტუიცია. მოუსმინეთ შინაგან ხმას და ისე იმოქმედეთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება არ ღირს. **ღრიანკალი** — ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას, რისკი გამართლებული არ არის. **მშვილდოსანი** — დღის პირველ ნახევარში თქვენი იდეების რეალიზებას იოლად მოახერხებთ. ხელმძღვანელ პირებთან და ბიზნესპარტნიორებთან ურთიერთობა წარმატებას მოგიტანთ. საღამო ბუნების წიაღში გაატარეთ. **თხის რქა** — იოლად ნურავის მიენდობით. დიდია მოტყუების ალბათობა. ერიდეთ კომერციულ აქტივობასა და ხალხმრავალ ადგილებში გამოჩენას. **მერწყული** — ნებისმიერი საქმე გამოგდით. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, ასევე მოგზაურობისა და მივლინებებისათვის. **თევზები** — პრობლემების მოგვარებაში ახალი ნაცნობები დაგეხმარებიან. შესაფერისი დროა რომანტიკული ურთიერთობებისათვის, ასევე ახალი ნაცნობების შესაძენად.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური წარმოდგენა; 3. საცირკო ნომერი ჯამბაზების მონაწილეობით; 4. ბურთის მსგავსი საფრენი აპარატი; 5. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 6. აზიის მთიანეთში გავრცელებული თოვლის ჯიქი; 8. დაზვერვის საიდუმლო თანამშრომელი; 11. ამერიკის აღმომჩენი ესპანელი ზღვაოსანი; 14. რაიონული ცენტრი რაჭაში; 15. სამთო-საინჟინრო საქმეში გამოყენებული ფეთქებადი ნივთიერება; 16. თვალის დაავადება, სიელმე; 17. ლიხტენშტეინის დედაქალაქი; 19. სისხლძარღვი; 21. ფრანგი ფიზიკოსი, თერმოდინამიკის ფუძემდებელი; 22. მუზეუმი მადრიდში.

**თარაზულად:** 1. მდინარე გაგრაში; 5. გაუფასურებული, ხმარებიდან გამოსული ფული; 7. საფრანგეთის პრეზიდენტი; 9. სამხედრო მრეწველობის გადაყვანა არასაბრძოლო პროდუქციის წარმოებაზე; 10. სარეკლამო ხასიათის ილუსტრირებული ბროშურა; 12. შაქრის შემცვლელი დიაბეტით დაავადებულთათვის; 13. კაზაკთა წინამძღოლი; 16. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი; 17. მამალი თხა; 18. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 20. მომავალი მუშაობის გეგმა; 22. ჭადრაკის ფიგურა; 23. კოლექტიური, წერილობითი მიმართვა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისადმი; 24. მადრიდის „რეალის" ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 25. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**სკანვორდის პასუხები:**

1. კორპუსი; 2. არაუკარია; 3. არ; 4. პარამარიბო; 5. ფაუნა; 6. მარულა; 7. აპკი; 8. რამო; 9. მესა; 10. ჭინკა; 11. მარიამ; 12. კაპელდინერი; 13. კიი; 14. პიანო; 15. ბილ; 16. ბრის; 17. ოდალისკა; 18. რა; 19. ტრადიცია; 20. ბოჰემა; 21. ყლორტი; 22. საბო; 23. ტერენტი; 24. პანდა; 25. კლაიპედა; 26. მენი; 27. ედა; 28. იემენი; 29. ციკლი; 30. ტრი; 31. სიო; 32. პიცა.

**სურათებზე:** ადრიანა ლიმა; ფილიპ ლამი.

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ბრაზილია; 7. უნაგირი; 8. კრემლი; 10. ეპიზოდი; 12. ტვინი; 13. მეანი; 14. კალმოსანი; 18. კაფია; 20. არაბია; 23. ჰარპია; 24. აისი; 25. ვალაბი; 26. რიდე; 27. ლიქიორი.

**შვეულად:** 1. არქივი; 2. მარაო; 3. კვირტი; 4. გვრიტი; 6. კუდიანი; 9. ოპელი; 11. ფაიფური; 15. ოლიმპიადა; 16. ბრაილი; 17. აყლაყუდა; 19. ანალიზი; 21. ეპარქია; 22. ნაჟური.

# ბარბარა სამხარაძეს ჭორებს უვრცელებენ



„ნიჭიერის“ მეექვსე სეზონის გამარჯვებულს, 15 წლის ბარბარა სამხარაძეს ჭორებს უვრცელებენ. ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჭაბუკიანის მკვიდრზე ინტერნეტში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბარბარა გულის შეტევით იაშვილის კლინიკაში გადაიყვანეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით კი ნიკა გვარამია, ვანიკო თარხნიშვილი და თვით ბიძინა ივანიშვილიც კი დაინტერესდნენ.

გავრცელებულ ინფორმაციას ბარბარა გამოეხმაურა და ტყუილი უწოდა:

– რა საჭიროა?? კარგად ვარ, ხალხო... არაფერი არ მჭრის... ნუ დაუჯერებთ... სირცხვილია... ჩემი აღარც ტელეფონი ჩერდება და აღარც ფეისბუქი,?საიდან აღარ მირეკავენ და მწერენ... ხალხო, სირცხვილია... და მთავარ გმირს მივმართავ... გრცხვენოდეს... ან საიდან იგონებ ეგეთ სისულელეებს... ნუთუ არ გრცხვენია... კიდევ ერთხელ გეტყვით, კარგად ვარ... არაფერი არ მჭირს... და ყველას დიდი მადლობა ასეთი ყურადღებისათვის!

# სტანისლავ ბონდარენკო თბილისშია



გოგონების გულთამპყრობელი სტანისლავ ბონდარენკო თბილისში დაბრუნდა. რამდენიმედღიანი განშორების შემდეგ, მსახიობი საქართველოს დედაქალაქში ისევ ჩამოვიდა. როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისის აეროპორტში მას გულშემატკივართა მთელი არმია დახვდა. გოგონებმა მსახიობთან ფოტოები გადაიღეს და სამახსოვრო ავტოგრაფებიც მიიღეს.

ბონდარენკო თბილისში ორიოდე კვირის წინ საქველმოქმედო მიზნით იმყოფებოდა. მან 17 წლის მიხეილ სხვიტარიძის დასახმარებლად თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში ორი საქველმოქმედო სპექტაკლი ითამაშა, სადაც „მე ბებია, ილიკო და ილარიონში“ ზურიკელას როლი შეასრულა.

ამ ეტაპზე მსახიობი თბილისში „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მონაწილეობისთვის ჩამოვიდა. მეექვსე სეზონი აპრილში დაიწყება და ის საერთაშორისო იქნება. როგორც ჟიურის უცვლელმა წევრმა გოჩა ჩერტკოევმა განაცხადა, მასში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოში სხვადასხვა სფეროში ცნობილი ადამიანები.

სტანისლავ ბონდარენკო უკვე ესტუმრა პროექტის დიზაინერს ლაშა ჯოხაძეს და პირველი ტურისთვის განკუთვნილი კოსტიუმი მოირგო. მიუხედავად იმისა, რომ პროექტში მონაწილე ვარსკვლავების ვინაობა მკაცრად არის გასაიდუმლოებული, „ახალი თაობისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ვარსკვლავის ეგიდით, მეგაშოუს მეექვსე სეზონში მონაწილეობას მიიღებენ მოდელი ანა ახვლედიანი და მომღერალი ლიზა ყენია.

# ჯულიანა ბარგნარმა და ოთო ფოლადაშვილმა თბილისის თასი მოიგეს



სამეჯლისო ცეკვები მას შემდეგ გახდა პოპულარული, რაც „ცეკვავენ ვარსკვლავები“ სატელევიზიო ეთერში გამოჩნდა. სწორედ ამ პროექტით გაიცნო ფართო საზოგადოებამ მოცეკვავე წყვილი ჯულიანა ბარგნარი და ოთო ფოლადაშვილი. მათ წყვილს წარმატებები არ აკლია როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში გამართულ საერთაშორისო კონკურსებსა თუ ფესტივალებში.

ჯულიმ და ოთომ მონაწილეობა მიიღეს ძიუდოს აკადემიის მცირე დარბაზში გამართულ საქართველოს ღია რეიტინგულ შეჯიბრში „ლეგენდა 2016“, სადაც პირველი ადგილი დაიკავეს.

ორგანიზატორის სპორტ-კლუბის „ლეგენდ დენსი“ და მისი ხელმძღვანელის ერნესტ არუტუნიანის მიერ მოწვეულ იქნა უმაღლესი დონის მსაჯები, რომლებმაც მონაწილეთა შორის საუკეთესოები დაასახელეს. მეორე ადგილზე გავიდნენ სალომე ჭაჭუა და მისი მეწყვილე მაქს რიჟიკოვი, მესამე ადგილი რუსთავიდან ჩამოსულმა მოცეკვავე წყვილმა დაიმსახურა.

# ჩემი ცოლის დაქალები: „დაანონსებული კასტინგი ცრუ ინფორმაციაა!“




ფორმულა კრეატივის გახმაურებული სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ მეცხრე სეზონის ხანმოკლე პაუზის შემდეგ ეთერში დაბრუნდა. სერიალის დაწყებასთან ერთად მასთან დაკავშირებით უამრავი ჭორ-მართალი გავრცელდა. ერთ-ერთი ცრუ ინფორმაცია აღმოჩნდა ის, რომ „ჩემი ცოლის დაქალებმა“ კასტინგი გამოაცხადეს, რაც ოფიციალურმა გვერდმა კატეგორიულად უარყო:

– მეგობრებო, ფეისბუქზე ჩვენი სახელით დაანონსებული კასტინგი არის ცრუ ინფორმაცია. ჩვენ არავითარი მიმდინარე ან მომავალი კასტინგი არ გვაქვს გამოცხადებული. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ჩემი ცოლის დაქალებში მონაწილეობისთვის, მოყვარულების და მსახიობების კასტინგი, სეზონებს შორის, ცხადდება მხოლოდ ამ გვერდზე. მადლობა!

# „ნიჭიერის“ გამარჯვებული თემო არაბიძე ავარიაში მოყვა



თემო არაბიძე ფართო საზოგადოებამ „ნიჭიერის“ მეხუთე სეზონში გაიცნო, სადაც მან თავის მეგობარ ქეთი ზაზანაშვილთან ერთად იცეკვა და პროექტის მოგება შეძლო.

თემო ავტოკატასტროფამ ეტლს მიაჯაჭვა, მაგრამ მან ფარ-ხმალი არ დაყარა და „ნიჭიერისთვის“ დაიწყო მზადება. თემომ ქეთისთან ერთად შესარჩევი ტურიდან ნახევარფინალში გადაინაცვლა, შემდეგ ფინალში და საბოლოოდ ყველა ფინალისტს აჯობა.

ორიოდე დღის წინ თემო ავტოკატასტროფაში უკვე მეორედ მოყვა. შემთხვევა მის უბანში, თერჯოლაში მოხდა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# მარგო და მირიან ჭკადუების გახსენება





2 აპრილს ერთი წელი შესრულდება, რაც ჩვენთან აღარ ხარ, ძვირფასო დედა, ათი წელი კი მას შემდეგ, რაც ჩვენი საფიცარი მამის სული მარადისობას შეუერთდა... თქვენი წასვლის შემდეგ გაჩენილ სიცარიელეს, რომელსაც ერთდროულად მონატრების და ტკივილის განცდა ახლავს თან, უფრო და უფრო მძაფრად შევიგრძნობთ.

თქვენ საოცრად ავსებდით ერთმანეთს... გიყვარდათ მოყვასი, ზრუნავდით ახლობლებზე, სიკეთეს და სამართლიანობას ასხივებდით ირგვლივ. ჩვენშიც, თქვენს შვილებსა და შვილიშვილებშიც, რუდუნებით ნერგავდით ამ ღირებულებებს, გვასწავლიდით, რომ ღირსეულმა ადამიანმა ნებისმიერ სიტუაციაში ღირსება უნდა შეინარჩუნოს.

დედიკო, შენ საოცრად გიყვარდა შენი საქმე, წლების განმავლობაში გალის მე-6 საბავშვო ბაღს ხელმძღვანელობდი, იყავი რაიონის მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელი, დამსახურებული პედაგოგი, კარგი მეუღლე, კარგი დედა. მხარში ედექი ჩვენს სათაყვანო მამას, რომელიც 40 წლის მანძილზე გალის რაიონული გაზეთის რედაქტორი, დამსახურებული ჟურნალისტი, არაჩვეულებრივი მამა და მეგობარი, ყველა უსამართლოდ დაჩაგრულის შემწე და პატრონი იყო. როცა მამა გარდაიცვალა, სამძიმარზე მოსულმა ერთმა უცნობმა ადამიანმა თქვა – დღეს ამ ქალაქში მცხოვრები უკანასკნელი რაინდი და ღირსეული ადამიანი გარდაიცვალაო. დარწმუნებული ვართ, ეს მხოლოდ მეტაფორა არ იყო.

ღმერთმა ნათელში გამყოფოთ, ჩვენო ძვირფასო ადამიანებო, გვიყვარხართ, გვახსოვხართ და გვენატრებით...

*თქვენი ოჯახი*



მესტიის მუნიციპალიტეტის, ა(ა)იპ კულტურის სამსახურის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაგრძნობას უცხადებენ არჩილ მურღვლიანს ძმის

**რევაზი მურღვლიანის**

გარდაცვალების გამო.
**დაკრძალვა:** 29 მარტს, 14-საათზე.
**მისამართი:** თბილისი, ვაზიანის დასახლება, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია.

დედა ნაზო, მეუღლე ეკა, შვილები ცოტნე და კონსტანტინე, ძმა ორესტი, და ციცინო, ძმისშვილები ცირა და გიორგი ბუკიები, დისშვილები ლევან მაჭარაშვილი, ნინო და ეკა ქანთარიები, სიდედრი ნანული ლატარია, ცოლისდები ია და თეა კილასონიები, დეიდა ლამარა (ველი) ჭითანავა, დეიდაშვილი მანანა ჩალაძე-ჩიტაია, ბიძაშვილები დარეჯან და ბორის ბუკიები, სიძეები ჯემალ მაჭარაშვილი, ზაზა თორია, გიორგი შეროზია, ქვისლები რომან ჩუხუა, რომან ცეკვავა, ნათესავები, ახლობლები და მეგობრები იუწყებიან

**ჯემალ ლეოს ძე ბუკიას**

გარდაცვალებას.
**პანაშვიდი:** 29, 30 მარტს.
**დაკრძალვა:** 31 მარტს, 14 საათზე.
**მისამართი:** თბილისი, იოსებიძის 57, III სართული.

# სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ელგუჯა გაბეჩავა, შვილები ირმა და ნინო გაბეჩავები, შვილიშვილები იზი და მარი ჩხეიძეები, სიძე ლევან მინჯორაია, შვილთაშვილი ანუკი იუწყებიან

**მედიკო სიხარულიძის**

გარდაცვალებას.
**დაკრძალვა:** 31 მარტს, 14 საათზე.

ბეჟან მინჯორაიას ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ელგუჯა, ირმა და ნინო გაბეჩავებს, იზი და მარი ჩხეიძეებს საყვარელი მეუღლის, დედისა და ბებიის

**მედიკო სიხარულიძის**

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეგობრები მამია სულაბერიძე, გია ბენდუქიძე იუწყებიან

**მედიკო სიხარულიძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის მეუღლეს ელგუჯა გაბეჩავას, შვილებს ირმა და ნინოს, შვილიშვილებს იზი და მარი ჩხეიძეებს, შვილთაშვილს ანუკი მინჯორაიას.

უახლოესი მეგობარი ბიჭიკო მოლოდინი ოჯახთან ერთად იუწყება

**მედიკო სიხარულიძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მეუღლეს ელგუჯა გაბეჩავას და მის ოჯახს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**გაიოზ ხატიაშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე დოდო ჩიტაია, შვილები ლიკა, მაია და ლადო ბერიები, შვილიშვილები ირაკლი მახათაძე, დეა და ბექა ბერიები, სიძე იური ჩემია, რძლები მაია გულუა და თეონა ღოლონძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვეზდენ ბერია**

**პანაშვიდი:** 29, 30 მარტს, 17 საათზე.
**დაკრძალვა:** 31 მარტს, 14 საათზე.
**მისამართი:** გლდანი, I მიკრორაიონი, კორპუსი 17, III სადარბაზო, III სართული.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

## სამშაბათი 29 მარტი

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **10.50, 23.05** ტ/სერ "**დაუნტონის სააბატო**" **12.30** "გურმანია" **13.00** ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05**"დღე მუზეუმში"" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30**"ცხოვრება ციფრებში" **21.00** **ფეხბურთი.** ამხანაგური მატჩი **საქართველო – ყაზახეთი.** (პირდაპირი "დინამო-არენადან") **22.50** "ეპოქის ფრაგმენტები" **0.00** "კომუნიკატორი" **1.10** მხ/ფ "**საით მივყავართ ოცნებებს**" (რ.უილიამსი)

**08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** "აფხაზეთი" **11.00** დ/ფ "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სანიმუშო სოფელში" **13.00** დ/ფ "ალენ ბაშუნგი" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.30, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.10** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** ცოდნა ფულია **23.00** მხ/ფ. "**ოპერაცია დელტა**" (ჯ.კენედი) **01.15** მხ/ფ. "**საბედისწერო ნიშნები**" (ჩ.კენტერბერი) **03.20** ქ.მხ/ფ. "**ფარაჯანოვი**" (დ.ხაჩიძე)

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**9.00, 18.30** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები (გამეორება) **9.30, 15.30** Discovery - როგორ არის დედამიწა მოწყობილი **10.30, 17.30** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **11.30** შუადღე **14.00, 20.00**ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. "**ძვლები**" **16.30** აირჩიე კაბა - მეჯვარეები **17.00** ლომბარდის დედოფლები **20.30 20.30 22.00** მხ/ფ "**გამორჩეულ ჯენტელმენთა ლიგა**" **23.55 ID Extra** - მოჩვენებებით შეპყრობილი **0.55, 2.45** URBAN STORIES **1.45** ჯიდიპედია

**06.10** სპექტაკლი "**ასერგასის დღე**" I,II **07.55** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი **10.40** ზღვარზე–როცა აყვავდა ნუში **11.10** თაობა ზეტი **11.30** წმინდა ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** მხ/ფ "**ჯვარცმული კუნძული**" **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "ზამიოკულკასი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართ ან/ფ **15.30** დ/ფ "ყველაზე, ყველაზე..."სასწაულებრივი ხსნა" **16.20** დ/ფ "პიანისტი კორსანტია" **17.15** სიბრძნისმეტყველება **17.25** დ/ფ "გზა შინისაკენ-ოთარ ჭილაძე" **17.45** აქტუალური თემა "თამბაქო" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** სჯანი **19.50** ღია აუდიტორია **20.30** კვირიაკის სიუჟეტი **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.00** შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05** სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.05, 15.30, 16.05, 17.05, 1.00** სერ. "**ქორწინება ანდერძით**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **19.05, 2.30** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


29 მარტისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.3342

ევრო — 2.6075

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3003

100 რუსული რუბლი — 3.4372

**ამინდის პროგნოზი 29 მარტისთვის**




## 29 მარტიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

## პაულო კოელიო

# ადიულტერი




ლინდამ იცის, რომ გაუმართლა. ერთი შეხედვით, იდეალური ცხოვრება აქვს. სხვების თვალში რესპექტაბელური მეუღლე, მოსიყვარულე დედა და ამბიციური ჟურნალისტია, თუმცა ყოველ დილას თვალის გახელისას მხოლოდ აუტანელ სიცარიელეს გრძნობს.

ყველაფერი იცვლება, როდესაც მის ცხოვრებაში მოულოდნელად ვნება ჩნდება. ლინდა დგება არჩევანის წინაშე, რომელმაც შეიძლება მთელი მისი ცხოვრება შეცვალოს.

**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**

## 31 მარტიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

## რაულ ჩილაჩავა

# ლავრენტი ბერიას ვაჟი მოგვითხრობს




ამ წიგნის რუსული ვერსია პირველად 1992 წელს გამოვიდა 100.000-იანი ტირაჟით და უმალ გაიბნა მაშინ ჯერ კიდევ ერთიან პოსტსაბჭოურ საინფორმაციო სივრცეში.

„ბერიას საქმე“ თითქმის 60 წლისაა, მაგრამ ჩვენ ცოტა რამ ვიცით ბოლშევიკური იმპერიის ამ ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეთქმულების შესახებ, რომელზეც საკუთარ ვერსიას გვთავაზობს სერგო ბერია, ლავრენტი ბერიას ერთადერთი ვაჟი.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## გაზეთი ახალი თაობა წარმოგიდგენთ სერიას

# ნობელიანტები ლიტერატურაში

**26 მარტიდან — ერნესტ ჰემინგუეი. იქ, მიღმა**
**2 აპრილიდან — თომას მანი. ავანტიურისტ ფელიქს კრულის აღსარება**
**9 აპრილიდან — ჯონ გოლზუორთი. ფორსაიტების ხსნა**

## №1 ლიტერატურული ჯილდო

ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში 1901 წლიდან გაიცემა და წლის ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ კულტურულ მოვლენადაა აღიარებული.

რამდენიმე წლის წინ გამომცემელმა კახმეგ კუდავამ გადაწყვიტა, ნობელის პრემიის ლაურეატების სერიით გამოეცა უკლებლივ ყველა ნობელიანტი, განურჩევლად ჟანრისა და ავტორის ცნობადობისა.

ნობელის პრემიის ლაურეატთა 90-ზე მეტი წიგნი — რომანები, პროზაული და პოეტური კრებულები, ესეისტიკა და ლიტერატურული პორტრეტები — სხვადასხვა დროს არაბულიდან, ბერძნულიდან, გერმანულიდან, ებრაულიდან, ესპანურიდან, თურქულიდან, ინგლისურიდან, იტალიურიდან, პოლონურიდან, რუსულიდან, ფრანგულიდან, შვედურიდან, ჩინურიდან თვალსაჩინო ქართველმა მთარგმნელებმა თარგმნეს.

თითოეულ გამოცემას ერთვის შესავალი წერილი, სადაც მოთხრობილია მწერლისა და ნაწარმოების მნიშვნელობაზე; ასევე სანობელო ლექცია, რომელსაც ტრადიციულად ჯილდოს ოფიციალური გადაცემის დროს კითხულობენ ნობელმინიჭებული ავტორები.

## გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ

# წიგნებს მაცხოვრის შესახებ ბავშვებისთვის

## შედგენილს არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით



















25 მარტიდან — იესო ქრისტეს შობა
1 აპრილიდან — იესო ქრისტეს ნათლისღება
8 აპრილიდან — იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები
15 აპრილიდან — იესო ქრისტეს სასწაულები
22 აპრილიდან — საიდუმლო სერობა
29 აპრილიდან — იესო ქრისტეს აღდგომა

**ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი**

## რობერტო ბაჯო შესაძლოა იტალიის ნაკრების მწვრთნელი გახდეს



ლეგენდარული ფეხბურთელი რობერტო ბაჯო შესაძლოა ევრო 2016-ის შემდეგ იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდეს.

ყველასთვის ცნობილია, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ანტონიო კონტე იტალიის ნაკრებს დატოვებს და სავარაუდოდ ლონდონური ჩელსის მთავარი მწვრთნელი გახდება.

იტალიურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რობერტო ბაჯოს კანდიდატურას იტალიის საფეხბურთო ფედერაცია აქტიურად განიხილავს.

ბაჯომ კარიერა 2004 წელს დაასრულა და მას თითქმის არ აქვს სამწვრთნელო გამოცდილება, ამიტომ მისი ამ პოსტზე დანიშვნა ბევრისთვის მოულოდნელი იქნება.

რობერტო ბაჯომ იტალიის ნაკრებში 56 მატჩი ჩაატარა და 27 გოლის გატანა შეძლო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ზიდანი ვერატის გადაბირებას შეეცდება



მადრიდის რეალი პსჟ-ს იტალიელ ნახევარმცველს მარკო ვერატის თავს არ ანებებს. ვერატიმ პსჟ-სთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ სამეფო გუნდი მაინც ცდილობს მის გადაბირებას.

როგორც ჩანს, საქმეში ზინედინ ზიდანიც ჩაერთვება, რომელიც პირადად დაელაპარაკება ვერატის და მის დარწმუნებას შეეცდება.

ზიდანი ზაფხულში ბევრი ტრანსფერის განხორციელებას გეგმავს და ერთ-ერთი ფეხბურთელი, რომლითაც ზიდანი დაინტერესებულია, სწორედ მარკო ვერატია.

ფრანგი სპეციალისტი თვლის, რომ ვერატის ბევრი კარგი თვისება აქვს და მისი გადასვლა რეალზე კარგად იმოქმედებს.



## იუმორი

•••

ბიჭი მეგობარ გოგონასთან ერთად სოფელში ჩავა. შეიკეტებიან ოთახში. მესამე დღეს ბებია კარზე დაუკაკუნებს და ეუბნება:

— შვილებო, მაგდენი სასისკის ჭამით არ დაიხოცოთ და ფანჯრიდან მაინც ნუ ყრით პარკებს, ინდაური არ დამეხრჩოს.

•••

კაცი გამვლელს აყაჩაღებს:
— ფული ჩქარა!
— არ გრცხვენია, ბიჭო?! სადაა ფული!
— სულ არ გაქვს, შე კაცო?
— არცერთი თეთრი!
— რა ცხოვრება დაგვიდგა, ამის დედა ვატირე!... აჰა შენ ორი ლარი და გამეიზოგე...

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:
— ბიჭო, ე ზაქროს ცოლი სულ ჩემი მანქანის „პაკრიშკასა“ გამს...
— ეგ როგორ, კაცო?
— როგორა და ქვეყანაზე ერთი ლურსმანი რომ არ იშოვებოდეს, ეგ მაინც მონახავს და შაირჭობს...

•••

კაცს ცოლი მოუკვდება და ცოლისდას მოიყვანს ცოლად. ნათესავები ეკითხებიან:
— ბიჭო, ცოლისდა რად მოიყვანე ცოლად?
— ახლა კიდევ ახალ სიდედრს შაეჩვიე!...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ქართული სპორტული რადიო; 2. ბარიტის საბადო რაჭაში; 3. გასუფთავებული ნატეხი შაქარი; 4. ლიტერატურაში, დეტექტიური ჟანრის ფუძემდებლად მიჩნეული ამერიკელი მწერალი; 5. რამდენიმე ქვემეხის ერთდროული, ხშირი გასროლა; 6. მატყლის სართავი, უმარტივესი ბზრიალა ხელსაწყო; 7. ეკლესია თბილისში; 10. დანიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 11. მოულოდნელი საჩუქარი, სასიამოვნო ამბავი; 12. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი, მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული ფირმა; 13. რევაზ ლაღიძის ოპერა; 16. ომის დროს მოპოვებული სამხედრო ქონება, ნადავლი; 18. შებოლილი ძეხვი; 19. რაიმეს სპეციალურად შერჩეული ნარევი, ნაკრები; 21. წყნარი, უქარო ამინდი ზღვაზე; 24. მაგიდა სადურგლო სამუშაოებისათვის.

**თარაზულად:** 1. ცირკის მასხარა; 3. ავი, ანჩხლი დედაკაცი; 8. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 9. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური იაპონიაში; 14. აჭარაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 15. ტბა სომხეთში; 17. ბილიარდის მაგიდის ნაწილი; 20. ტელეგრაფით გაგზავნილი სასწრაფო შეტყობინება; 22. ქართველი ფიზიკოსი, ჰუმბოლდტის პრემიის ლაურეატი; 23. ნიჩბოსანთა სპორტული ნავის მოძრავი სკამი; 25. სოფელი წალენჯიხის რაიონში; 26. ხერესის მარკის ღვინოების მწარმოებელი ესპანური ფირმა; 27. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 28. პატარა ზარი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**